

„მდინარე ბჟუჟას ხეობაში „ბასრა
1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა
4“ ჰესების ექსპლუატაცია
სიმძლავრეების გაზრდისა
ქსელზე დაერთების პროექტის
გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიში“
(2024 წელი)

ექსპერტის დასკვნა

შემსრულებელი ექსპერტი: მამუკა გვილავა

თბილისი, 16 ოქტომბერი, 2024 წ.

ანალიზის მეთოდოლოგია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გაანალიზებულია ტექსტის მიყოლებით და თანმიმდევრულადაა მომზადებული შენიშვნები და წინადადებები, ფორმულირებულია სათანადო მიგნებები და დასკვნები. გზშ ანგარიშის აზრები არ არის დანომრილი, შესაბამისად გვერდის მითითებით და სადაც აუცილებელია თავების და ქვეთავების მითითებით და ციტატების მოყვანით ხდება დოკუმენტის შესაბამისი მონაკვეთების მინიშნება.

ანალიზის შედეგები

1. დოკუმენტის დასაწყისშივე გვ. 6 სრულიად უაპელაციოდ არის განცხადებული, რომ „კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.“ აღნიშნული წინადადების დაყენება უმართებულოა, რადგან კოდექსის II თავის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის ქვეშ მკაფიოდ იგულისხმება, რომ საკითხი შეეხება ამოქმედებულ საწარმოს და არა მშენებლობის პროცესში მყოფს, რომელიც ექსპლუატაციაში შესული არ არის. ამასთან, მსგავსი მიდგომა არ შეესაბამება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) სულისკვეთებას, რადგან იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე ყოველგვარი გზშ-ის გარეშე, რაც მრავალი მაგალითით არის დადასტურებული შემდგომში ქვემოთ.

2. იგივე დასკვნას აძლიერებს გვ. 12-ზე განცხადება „ბასრას (1-2-3) ჰესების მშენებლობის პროექტის ფარგლებში საქმიანობის განმახორციელებელმა მიიღო გადაწყვეტილება მდ. ბჟუჟას ხეობაში კიდევ ერთი ჰესის „ბასრა 4“-ის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც საპროექტო სიმძლავრიდან (1,98 მგვტ) გამომდინარე ასევე არ საჭიროებდა კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას“, რაც ნიშნავს, რომ პროექტის არა მარტო „წარმადობა“ „შეცვლილი“, არამედ უშუალოდ პროექტიც შეიცვალა კასკადის გაფართოებით მე-4 ჰესით. ნიშანდობლივია, რომ გზშ-ში ტერმინი „კასკადი“ საერთოდ არ არის გამოყენებული, სამაგიეროდ ხშირად გამოიყენება უცნაური სახელწოდება „ბასრა ჰესები“.

3. ამასთან, ისე, რომ საერთოდ არ გაუვლია გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი „შპს „პარვუს ბასრამ“ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების დაწყება“ (გვ. 12), რითაც კომპანიამ თვითნებურად მიიღო მშენებლობის წამოწყების გადაწყვეტილება.

4. გვ. 13-დან ასევე ვიგებთ, რომ „კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება რომ ტექნიკურ-ფუნქციური კავშირიდან გამომდინარე გაეკეთებინა ერთიანი გზშ-ის ანგარიში, მათ

შორის შეფასება განხორციელებულიყო ერთი ფანჯრის პრინციპით და ზემოქმედების აღქმა მომხდარიყო საერთო შეფასების ჭრილში“, თუმცა რაიმე „ერთი ფანჯრის პრინციპს“ კოდექსი არ ცნობს, ხოლო კომპანია ხშირად აცხადებს რომ თვითნებურად იღებს გაურკვეველ „გადაწყვეტილებებს“.

5. გვ. 27-ზე გაცხადებულია, რომ „ჰიდროლოგიური ანალიზის/ანგარიშის მიხედვით (იხ. თავი 6) ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - 0,28 მ3/წმ“ ბასრა 1-ისთვის, თუმცა მე-6 თავში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად არ არის გადაჭრილი აღნიშნული საკითხი, არამედ მხოლოდ ჰიდროლოგიური გათვლებით არის „შედეგი“ მიღებული. იგივე შეეხება გარემოსდაცვით ხარჯს კასკადი ოთხივე ჰესისთვის.

6. გვ. 34-ზე ყოველგვარი ალტერნატივების განხილვის გარეშე ფაქტის წინაშე ვართ დაყენებული, რომ „აღნიშნული ტიპის (pool-pass) თევზსავალის შერჩევა მოცემულ შემთხვევაშიც განპირობებული იქნა ზემოქმედებას დაქვემდებარებული მონაკვეთის რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: მდ. ბჟუჟი ისევე როგორც მისი შენაკადი წარმოდგენილია ვიწრო ხეობით, სადაც სხვა ტიპის, მაგ: ბუნებრივი ტიპის თევზსავალის მოწყობა არა რელევანტურ გადაწყვეტას წარმოადგენს. ე.წ საინჟინრო ტიპის თევზსავალი (Pool passes) საუკეთესო გადაწყვეტას წარმოადგენს.“

7. გვ. 60 გვამცნობს, რომ „მისასვლელი გზების მოწყობით გარემოზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.“ მაგრამ ეს გზები გზმ-ს გარეშე მოეწყო, რაც მიუღებელია. ჯგუფის ვებგვერდიდანაც კარგად ჩანს, როგორ გამოიყურება ეს „ურისკო“ მისასვლელი გზები:



<http://parvugroup.ge/wp-content/uploads/2024/07/3-scaled.webp> <http://parvugroup.ge/wp-content/uploads/2024/07/4-scaled.webp>

8. პროექტის ტექნიკურ აღწერას დიდ მოცულობა აქვს დათმობილი და ადგილი აქვს ხშირ გამეორებას ერთიდაიგივე საკმაოდ გაუგებრად დაწერილი ტექსტების და ეს იმ დროს, როდესაც პროექტის „ერთიანი გენერალური გენ-გეგმა“ პირველად მხოლოდ მე-60 გვერდზეა წარმოდგენილი, ისიც დაბალი გარჩევადობით - გეგმაზე ტექსტები საერთოდ არ იკითხება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორებს არ სურთ გასაგებად წარმოადგინონ პროექტის შინაარსი.

9. ადგილი აქვს გაუგებარ ჩანართებსაც. მაგ. გეოლოგიური გარემოს აღწერილობა იწყება ლიტერატურის ვრცელი და მოუწესრიგებელი ჩამონათვალით (გვ. 67).

10. ზემოხსენებულ მე-6 თავში, გვ. 82-ზე, სადაც საუბარია მდინარის ეკოლოგიური ხარჯის შესახებ, გაცხადებულია, რომ „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის კანონქვემდებარე აქტის მიღებამდე, შესაძლებელია აღებული იქნეს წყალაღების კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის ტოლი და ჰესების მიერ ასაღები წყლის რაოდენობა მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დატოვების გათვალისწინებით.“ ეს დასკვნა უმართებულოა, რადგან კანონი აღნიშნულს არ ითვალისწინებს. მსგავსი ლოგიკით 0%-ის მნიშვნელობაც შეიძლება შემოგვთავაზონ. ამასთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ეკოლოგიური ხარჯი არ დგინდება მხოლოდ ჰიდროლოგიური გაანგარიშებით, არ არის მოყვანილი სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მოსაზრებები და საერთოდ არ არის აღწერილი გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია, შესაბამისად არ არის იგი არც გამოყენებული. შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ გზშ-ში „გარემოსდაცვითი ხარჯი“ არ არის დადგენილი საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კვლევებისა და საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე.

11. გვ. 94-ზე ვიგებთ, რომ „ბასრა ჰესების ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ერთეულების, მათ შორის მისასვლელი გზების და საკაბელო ქსელის გაყვანის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად „ბასრა ჰესების“ და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით ფლორისტულ გარემოზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია.“ მსგავსი განცხადება სრულიად არ არის გამართლებული, რადგან თავდაპირველი პროექტის გზშ არ შესრულებულა. პირიქით, კვლევების საჭიროების მოთხოვნა კიდევ უფრო „საფუძვლიანია“, რადგან გარემოსდაცვითი შეფასებები საერთოდ არ განხორციელებულა.

12. იმავე აბზაცში განცხადებულია, ასევე, რომ „ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით.“ გაუგებარია, როგორ მოხერხდა აღნიშნულის მიღწევა, თუკი გზშ არ შესრულებულა - ეს უბრალოდ „გამართლება“ თავდაპირველი პროექტის არგანხორციელებული შეფასების.

13. გვ. 95-ზე ვიგებთ, რომ „გზშ-ის ფარგლებში განხორციელებული საკვლევი არეალის საველე აუდიტით ირკვევა რომ, როგორც 35 კვ ძაბვის საკაბელო ქსელის, ისე 110 კვ ძაბვის ქვესადგურის განთავსების ადგილზე (იხ. სურათი N13) 8 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეების მოჭრის/გარემოდან ამოღების საჭიროება არ არსებობს.“ არადა რუკაზე ამკარად ჩანს ტყით დაფარულ არეალები და გაუგებარია, თუ რატომ არ არის ხეების მოჭრის საჭიროება - დასკვნა არ გამოიყურება სარწმუნოდ. ამასთან, საინტერესოა, სად შეიძლება გავეცნოთ „საველე აუდიტის“ შედეგებს?

14. იქვე ქვემოთ გზმ გვამცნობს, რომ „რაც შეეხება 74 მეტრიან საკაბელო ხაზს, როგორც თქვენთვის ცნობილია იზოლირებული კაბელის გაყვანა არ საჭიროებს ხემცენარეების გარემოდან ამოღებას ან/და გადაბეღვის სამუშაოების ჩატარებას.“ ეს ჩვენთვის თავისთავად ცნობილი არ არის - ამდენად, დასკვნა არ ჩანს მართებული.

15. გვ. 96-ზე ჩამოთვლილია ცხრილის სახით „ჰაბიტატები ბერნის კონვენციის რეზოლუცია #4-დან (1996)“, თუმცა რა დანიშნულება აქვს მოთხოვნების ციტირებას, თუკი არანაირი ქმედება არ მოჰყვება სახეობების და ჰაბიტატების დაცვის მიზნით.

16. გვ. 97-დან ვიგებთ, რომ „ჰიდროტექნიკური ნაგებობის (სათავე კვანძები, მილსადენები, ჰესის შენობები) მოწყობით მნიშვნელოვანი ზემოქმედება EUNIS-ის ჰაბიტატებზე არ დამდგარა, ვინაიდან ინფრასტრუქტურა განთავსდა უშუალოდ მდინარის ხეობაში“. „მდინარის ხეობა“ არანაირ ჰაბიტატს არ ითვალისწინებს?

17. აქვე აღნიშნულია, რომ „ძირითად ზემოქმედებას მისასვლელი გზების მოწყობას მოჰყვა, თუმცა აღსანიშნია რომ მისასვლელი გზებისთვის არ მომხდარა მასშტაბური ტერიტორიების ათვისება.“ საინტერესოა, ადგილი ჰქონდა თუ არა თუნდაც მცირე, მასშტაბური თუ არა, ჰაბიტატების ტერიტორიების ათვისებას?

18. ამავე აბზაცში აღნიშნულია, რომ „მოცემული ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით უკვე სახეცვლილია (იხ. სურათი).“ რომელ სურათზეა საუბარი? უშუალოდ ქვემოთ მითითებულ სურათებზე არ ჩანს ანთროპოგენური ზემოქმედების ნიშნები გარდა ჰესის სამუშაოებით გამოწვეული, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გზმ-ის გარეშე არ უნდა წამოწყებულიყო სამუშაოები.

19. გვ. 98-ის პირველი აბზაციდან ვიგებთ, რომ „ძუძუმწოვრების ან/და მათი ცხოველქმედების ფაქტები ზემოქმედებას დაქვემდებარებულ არეალში ან/და მის უშუალო სიახლოვეს არ დაფიქსირებულა.“ სრულიად დაუჯერებელია, რომ ველურ გარემოში ძუძუმწოვრები საერთოდ ვერ დაფიქსირებულიყო.

20. გვ. 100-ზე „წავის არსებობა არ დადასტურებულია“. საინტერესოა, საერთოდ რაიმეს არსებობას თუ ადასტურებს აღნიშნული საველე კვლევა?

21. ამავე გვერდზე ქვემოთ „მდინარე ბჟუჟის ზედა ბიეფში („ბასრა ჰესების“ საკვლევ ზონაში) წავის ასვლის ალბათობას ართულებს/ამცირებს „ბჟუჟჰესის“ კაშხალი, რომლის გამოც შეიძლება ითქვას ჰაბიტატი გარკვეულწილად ფრაგმენტირებულია“. ჰაბიტატების ხარისხის მიმართ სპეციალისტის განწყობა აშკარად „უარყოფითია“.

22. გვ. 101 გვამცნობს, რომ „ეს ტერიტორიები საკმაოდ ღარიბია ძუძუმწოვრების მხრივ“, ისევ უარყოფითი შეფასება სპეციალისტის მხრიდან ძუძუმწოვრების მიმართ.

23. აქვე გრძელდება მსჯელობა „ტყის ჰაბიტატიც ნაკლებად გამოირჩევა ფაუნისტურ სახეობათა მრავალფეროვნებით და სიხშირით.“ არც ტყეები ვარგა თურმე ფაუნისტვის საბინადროდ. საჭიროა საერთოდ საქართველოში ბიომრავალფეროვნების კვლევების წარმოება? ასეთ განწყობის ავტორის მოსაზრებები არ არის სანდო და არც მისაღები.

24. ცხრილში 33 მოყვანილია ვრცელი სია „საველე მონაცემების და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ზემოქმედების ზონაში ძუძუმწოვრების შესაძლო სახეობების“. ნუთუ ამ 26 ჩამოთვლილი სახეობის ვრცელი სიიდან ვერაფერი დაფიქსირდა ველზე?

25. გვ. 102-ზე ვიგებთ, რომ ღამურების „დაფიქსირება საველე კვლევების (10.2023; 05.2024; 07.2024) ფარგლებში არ მომხდარა.“ არც ღამურები ფიქსირდება, საინტერესოა რაიმე თუ დააფიქსირა ველზე სპეციალისტმა, მითუმეტეს რომ 34-ე ცხრილში 8 სახეობაა მითითებული ზემოქმედების ზონაში, როგორც შესაძლო.

26. გვ. 102 სრულდება ისევ უარყოფითი კონოტაციის აზრით: „კვლევის შედეგების მიხედვით, უშუალოდ საქმიანობის განხორციელების არეალში ღამურებისათვის ხელსაყრელი ჰაბიტატები ნაკლებად გვხვდება, მათ შორის: იშვიათია მწიფე/გადაბერებული ხეები; არ გვხვდება მიტოვებული შენობები, სადაც დაიდებდნენ ბინას; ასევე ნაკლებადაა წარმოდგენილი მათთვის საბინადროდ ხელსაყრელი კლდის მასივები. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ, ცხრილში მოყვანილი სახეობები საკვლევ რეგიონში ბინადრობენ, მაგრამ განსახილველი ზონისგან მოშორებით, იქ სადაც მათთვის ხელსაყრელი ზემოთხსენებული პირობებია წარმოდგენილი.“ ნამდვილად დარწმუნებულია სპეციალისტი რომ ყველა ღამურა საპროექტო არეალის გარეთ ბინადრობს? იქნება წარმოებულმა მშენებლობამ დააფრთხო ღამურები? საერთოდ მიმდინარეობდა მშენებლობა „კვლევის“ პერიოდში?

27. გვ. 106-ზე ავტორი ხაზგასმით ასკვნის, რომ „ზემოქმედების არეალში არსებული ორნითოფაუნა ძირითადად წარმოდგენილია როგორც ფართოდ გავრცელებული, მრავალრიცხოვანი ბელურისნაირებით, ისე ქორისნაირებითა და შავარდნისნაირებით. მოზუდარი ფრინველებიდან დომინანტური ჯგუფი ტყის მცირე ბელურისნაირები არიან.“ ბელურების მიმართ გარკვეულწილად დამამცირებელი ეს გამონათქვამი ახასიათებს სპეციალისტის განწყობას. ფრინველებიც ვერ დაფიქსირდა, როგორც ჩანს, საპროექტო არეალში.

28. თუმცა, არა, როგორც იქნა, 3 სეზონზე ველურ ბუნებაში სიარულისას მხოლოდ 8 ფრინველი დაფიქსირდა: „ქვემოთ მოცემულია 8 სახეობის ფრინველის ფოტომასალა, რომელიც გადაღებული იქნა საკვლევ ტერიტორიაზე ყოფნის დროს (2024 წლის მაისის და ივლისის თვეში). სურათების განმარტებაში მოცემულია სახეობის ქართული დასახელებები (იხ.სურათები).“ უფრო მეტის დაფიქსირება თბილისშია შესაძლებელი ოქტომბერში, მაისსა და ივლისში.

29. შემდეგ გვ. 107-ზე აღნიშნულია, რომ „საკვლევი დერეფანის მცირედი ნაწილი ხვდება ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილის სიახლოვეს (IBA).“ გასაუქმებელია, აღნიშნული „იბა“, რადგან ფრინველები ვერ ფიქსირდება ამ არეალში, მხოლოდ 8 იქნა დამზერილი 3 სეზონზე კვლევებისას.

30. რუკის N16 – SPA შემდეგ განმარტებულია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე გადის ევროპა-აფრიკის და ევროპააზიის ფრინველთა საიმიგრაციო მარშრუტები. საკვლევი ტერიტორია არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილ ფრინველთა საიმიგრაციო დერეფანში ან/და მის უშუალო სიახლოვეს (იხ. რუკა).“ ბუნებრივია უკვე ეს „უარყოფითი“ შეფასება, თუმცა მაინც გვაქვს იმედი „დადებითი“ დასკვნის გუროის მთებში და ბუნებრივ ტყეებში.

31. გვ. 109 ისევ უარყოფითი დასკვნით იწყება: „საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე მობინადრე ქვეწარმავლები დიდი მრავალფეროვნებით არ ხასიათდებიან.“

32. გვ. 109 გვამცნობს „საველე კვლევის დროს სამუშაო ზონაში ბოხმეჭას არსებობა არ გამოვლენილა. ბოხმეჭასთვის დამახასიათებელი ჰაბიტატების ათვისება არ მომხდარა „ბასრა ჰესების“ ან/და მასთან დაკავშირებული ერთეულების (მისასვლელი გზები, არსებული ეგხ და ტრანსფორმატორი) მოწყობის ფარგლებში. ამასთან ბოხმეჭასთვის დამახასიათებელი ჰაბიტატების ათვისება დაგეგმილი არ არის არც ამ ეტაპზე გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში. შესაბამისად, როგორც უკვე ჩატარებულ, ისე დაგეგმილ ღონისძიებებს აღნიშნულ სახეობაზე პირდაპირი გავლენა არ აქვს“ - დასკვნა უარყოფითია ისევ - ბოხმეჭას გაუმართლა - არაფერი ემუქრება.

33. გვ. 110: „საკვლევი ზონაში შემჩნეული იქნა ართვინის ხვლიკის და ქართული ხვლიკის აქტივობა (სურ. 22; სურ.23). დაფიქსირებული სახეობების პოპულაცია უმეტესად წარმოდგენილი იყო სამხრეთი ნათელ (კლდოვან) ფერდობებზე, ხეობის ქვედა წელში, რომელიც არ ხვდება უშუალოდ პროექტის ზეგავლენის ქვეშ.“ ისევ უპრობლემო და დადებითი დასკვნა - ხვლიკები დამზერილ იქნენ, მაგრამ არ ხვდებიან სამშენებლო არეალში.

34. გვ. 110-ზე ეს ფრაზა ართვინის ხვლიკთან მიმართებაში გაუგებარია: „ასევე ვხვდებოდით ერთეულ ინდივიდებს კლდეებზე რომელზედაც ზემოქმედება დამდგარია, თუმცა მათი რიცხოვნობა საბინადრო გარემოდან გამომდინარე ოპტიმალურია“ - რა ზემოქმედებაა უკვე დამდგარი? რა არის „ოპტიმალური“?

35. ჩვეულებრივ ანკარასთან მიმართებაში „საველე შეფასების (2023 წლის ოქტომბერი, 2024 წლის მაისი და ივლისი) დროს აღნიშნული სახეობები უშუალოდ „ბასრა ჰესების“ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში შემჩნეული არ ყოფილა, მათ შორის ჩვეულებრივი ანკარას ინდივიდი დაფიქსირებული იქნა „ბასრა 3“ ჰესის შენობის

ქვედა ბიეფში.“ არ ყოფილა შემჩნეული ანკარა, თუ იქნა მაინც შემჩნეული? გაუგებარია ფრაზა, თუმცაღა ყველაფერი გასაგებია სპეციალისტის მიდგომებთან დაკავშირებით.

36. აქვე ქვემოთ სპილენძასთან მიმართებაში ახსნილია, რომ „თუ პირდაპირად არ მოხდა მისი დაზიანება და მოკვდინება იგი თავად შეეცდება უსაფრთხო ადგილას გადასვლას. მისთვის მცირედით შეცვლილი მიკროჰაბიტატი, თუმცა პოპულაციურ ტრენდებზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.“ ისევ არ გვაქვს პრობლემა, ყველაფერი წესრიგშია - სპილენძასაც გაუმართლა.

37. გველგესლას შესახებაც ნათქვამია, რომ „აღნიშნული სახეობა საკვლევ დერეფანში არ დაფიქსირებულა“. რაც შეეხება შემარბილებელ ღონისძიებას გველგესლას მიმართ, შემოთავაზებულია, რომ „გამოვლენის შემთხვევაში მიღებული იქნეს სათანადო საკონსერვაციო ქმედებები, მათ შორის - გადაყვანილი იქნეს უსაფრთხო ადგილას“. საინტერესოა, ვინ და როგორ გადაიყვანს გველგესლას უსაფრთხო ადგილას.

38. გვ. 111-ზე ვკითხულობთ: „ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, კვლევის ამ ეტაპზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ არსებული „ბასრა ჰესების“ ან/და საპროექტო ქვესადგურის და საკაბელო ეგზ-ის გავლენის ზონაში (რეგიონში გავრცელებულ) ქვეწარმავლებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, და შესაძლო ზემოქმედების შერბილება ან/და პრევენცია შეუძლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.“ ეს დასკვნაც დადებითია მშენებლობის ზემოქმედების მიმართ, მაგრამ უარყოფითია ქვეწარმავლების ფაუნის მიმართ.

39. გვ. 1120ზე კავკასიურ სალამანდრასთან მიმართებაში დასკვნა ისევ „დადებითია“ და უპრობლემო: „საველე კვლევის დროს დერეფანში აღნიშნული სახეობის არსებობა არ დადასტურებულია/ცხოველქმედების ფაქტები არ გამოვლენილა“

40. ამავე გვერდის ბოლოს ისევ "ოპტიმალურია" სპეციალისტის დასკვნა (მართლწერა დაცულია): „მიუხედავად დამდგარი ზემოქმედებისა, კავკასიური სალამანდრას პოპულაციურ ტრენდებზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენა არ მომხდარა და მათი რიცხოვნობა საბინადრო გარემოდან გამომდინარე ოპტიმალურია.“

41. კავკასიური სალამანდრასთვის გრძელდება: „ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში მისთვის საარსებო გარემო-პირობები შენარჩუნებულია და სახეობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა არ იქმნება.“ ეჭვი გვაქვს, რომ „იქმნება“ (სპეციალისტის სტილი აქაც შენარჩუნებულია).

42. გვ 113-ზე ვრცელი ფრაზაა მოყვანილი „ეკოლოგიურ ხარჯთან“ დაკავშირებით: „მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ოპერირების ფარგლებში გაგრძელდეს პერიოდული სამონიტორინგო კვლევები შესაძლო ზემოქმედების ადრეული იდენტიფიცირებისა და დროული აღმოფხვრის მიზნით. მთავარ

შემაბილებელ ღონისძიებას ზემოქმედების არეალში დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის გატარება და შესაბამისად ხეობაში წყლის ნაკადის მუდმივობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მონიტორინგის ფარგლებში კავკასიურ სალამანდრაზე შესაძლო მასშტაბური შეუქცევი ზემოქმედების დადგენის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდგომი ქმედებები, მათ შორის შესაძლო მაღლი შეუქცევი ზემოქმედების დამატებითი შემარბილებელი-პრვენციული ან/და საკომპენსაციო ქმედებები, შეთანხმებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.“ ეს ყველაფერი მომავალში არ უნდა მოხდეს - ეს არის სწორედ გზშ-ის დანიშნულება, სპეციალისტი ვერც ფაუნის სახეობებს ნახულობს და როგორც ჩანს არც გზშ-ის დანიშნულება იცის, თუ რას წარმოადგენს ეს პროცედურა.

43. გვ. 113: „საველე გასვლის დროს კავკასიური ჯვარულა არ შეგვხვედრია და არც მისი ცხოველ-ქმედების ფაქტები გამოვლენილა“. ისევ „პოზიტიურია“ დასკვნა კავკასიურ ჯვარულასთან მიმართებაში, რომელსაც როგორც ჩანს არაფერი ემუქრება.

44. გვ. 114: „ჩვეულებრივი ვასაკას საკვლევ ტერიტორიაზე მოხვედრის ალბათობა მაღალია, თუმცა ამ ჯერზე მისი აღმოჩენა ვერ მოხერხდა“ - ისევ დადებითი დასკვნა, ამჯერად ჩვეულებრივ ვასაკასთან მიმართებით, ხოლო კავკასიურ გომბეშოსთან დაკავშირებით დასკვნაც კი არ არის მოცემული.

45. გვ. 115 - იგივე შეეხება ტბორის ბაყაყს, რადგან, როგორც ჩანს, არც ტბორის ბაყაყი უნახავს ველზე ფაუნის სპეციალისტს: „საკვლევ ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საბინადრო ან/და საკვებად ვარგის გარემოს დაფიქსირებული სახეობებისათვის, ამიტომ შესაძლო ზემოქმედება იქნება მინიმალური“ - დასკვნა ისევ „დადებითია“ და სავარაუდოდ სასიამოვნოდ დეველოპერებისთვის.

46. გვ. 118: „უშუალოდ სკოპინგის ეტაპზე განხორციელებული საველე შეფასებების დროს მდ. ბჟუჟის იქთიოფაუნის კვლევა არ განხორციელებულა და შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ანალიზი ეყრდნობოდა ლიტერატურული წყაროების დამუშავებას, დარგის სპეციალისტები და ადგილობრივების გამოკითხვას.“ გაურკვეველი, რჩება, შესრულდა იქთიოფაუნის საველე კვლევა გზშ-ის ეტაპზე?

47. გვ. 123-124: „ვინაიდან აღნიშნულ წერტილზე მოწყობილია „ბასრა 1“ ჰესის წყალმიმღები და გარკვეული სახის ზემოქმედება დამდგარია მდინარეზე, თევზები ასეთ დროს შესაძლებელია უკვე გასულეები ყოფილიყვნენ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიიდან და მდინარის შედარებით წყნარი მონაკვეთებისა და შენაკადებისთვის შეეფარებინათ თავი.“ კანონიერად არის დამდგარი ეს ზემოქმედება ყოველგვარი ზემოქმედების შეფასების გარეშე? როგორია იქთიოლოგის პოზიცია?

48. აქვე ვიგებთ რომ „თევზი არ დაფიქსირებულა“ - არც კალმახი?

49. გვ. 124, მონაკვეთი ბასრა-3: „საველე კვლევის დროს არც აღნიშნულ მონაკვეთზე არ დაფიქსირებულა თევზი.“ მიზეზი? აქაც უკვე „დამდგარია ზემოქმედება“? ამგვარი ფრაზებით ფაქტიურად მტკიცდება, თუ რატომ არის მიუღებელი გზშ-ის გარეშე მცირე ჰესების მშენებლობის დაწყება და შემდეგ „სიმძლავრეების გაზრდა“.

50. გვ. 124, ამჯერად ბასრა-2: „საველე კვლევის ფარგლებში მითითებულ მონაკვეთზე თევზი არ დაფიქსირებულა.“ მიზეზი სავარაუდოდ უკვე დამდგარი ზემოქმედებაა. საინტერესოა, ჰიდროტექნიკური ნაგებობის გადაღება არ არის რეკომენდებული იქთიოლოგებისთვის? რამდენიმე სურათია მოყვანილი სპეციალისტის მიერ, მაგრამ არცერთზე არ არის ნაჩვენები ჰიდროტექნიკური ნაგებობები.

51. გვ. 126-ზე სიამაყით არის განცხადებული, რომ „ჰაბიტატების ფრაგმენტაციის, ბრაკონიერობის და ბოლო წლებში პოპულაციის მნიშვნელოვანი კლების გამო, საქართველოს მთავრობის N 190 (2014 წ.) დადგენილების თანახმად, შავი ზღვის ნაკადულის კალმახი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც გადაშენების პირას მყოფი (EN) სახეობა.“ იგივე საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ჰესების მშენებლობას თუ არა და არის თუ არა ეს პოპულაციის მნიშვნელოვანი კლების შესაძლო გამომწვევი ფაქტორი? როგორია ამ საკითხზე სპეციალისტის პოზიცია?

52. გვ. 127-ზე ქვეთავში „დასკვნები და რეკომენდაციები“ ვკითხულობთ „ჰესების საბოლოო ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, კალაპოტში შემცირდება წყლის მოცულობა, რაც გამოიწვევს ბარიერების წარმოქმნას მდინარეში.“ აქ კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ჰესები არ არის ექსპლუატაციაში შესული, ამდენად მათზე არ ვრცელდება „ექსპლუატაციის პირობების და წარმადობის გაზრდის“ არგუმენტაცია, შესაბამისად, ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, რაც კოდექსის თანახმად წარმოადგენს საქმიანობაზე უარის თქმის საფუძველს.

53. აქვე ისევ „დადებითი“ დასკვნა მშენებლებს: „აღსანიშნავია, რომ მდინარე ბჟუჟის იქთიოფაუნა არ არის მრავალფეროვანი.“ გზშ-ის სპეციალისტები არ გამოირჩევიან პრინციპულობით, რაც გასაკუთრებით დასანანია იქთიოლოგის შემთხვევაში.

54. ამავე გვერდზე კონსტატირებულია, რომ „...ქვემოთ მდებარეობს, ბჟუჟის სათავე ნაგებობა, რომელსაც არ გააჩნია თევზსავალი.“ საინტერესოა, რატომ არ აქვს ბჟუჟის სათავე ნაგებობას თევზსავალი? ვერ აგვიხსნის იქთიოლოგი?

55. გვ. 127: „ჰესების ოპერირების ფაზაზე, კალმახის პოპულაციის აღდგენის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება მდინარის დათევზიანება...“. როგორია აღნიშნული ღონისძიების წარმატების ალბათობა იქთიოლოგის აზრით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე?

56. გვ. 127-ზე დასკვნაში მოცემულია რეკომენდაცია: „კალმახის ტოფობის პერიოდში მიზანშეწონილია „ბასრა 4“ ჰესის გამომუშავების შემცირების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისად, ეკოლოგიურ ხარჯის გარდა ქვედა ბიეფში დამატებითი ხარჯების გაშვება;“ რამდენად შედეგიანია მსგავსი რეკომენდაცია, როდესაც პროექტი ზრდის კასკადის წარმადობას და მნიშვნელოვნად ამცირებს ეკოლოგიურ ხარჯებს?

57. გვ. 127-ზე ეს დასკვნითი განცხადება „ვინაიდან, „ბასრა ჰესების“ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და შესაბამისად ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების მოწყობით იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია“ ცინიკურად ჟღერს - ზემოქმედება დამდგარია გზშ-ის პროცესის იგნორირების გამო - იმედია დაგვეთანხმება ექსპერტი - თუმცაღა ტესტში მსგავსი თანხმობა არ იკითხება.

58. გვ. 127-ზე „მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჰესების ექსპლუატაციით დამდგარი შესაძლო ზემოქმედების მართვის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა. მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი წყალი შენარჩუნდეს სათავე კვანძების ქვემოთ მდინარეში (ქვედა ბიეფში)...“ - ეს როგორ მოხერხდება, თუკი მნიშვნელოვნად იზრდება ჰესების წარმადობა და შესაბამისად წყალაღება/წყალმოხმარება?

59. გვ. 130 „ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა“ არ არის მართებული, რადგან კოდექსის თანახმად არ მართო ალტერნატივების, არამედ საქმიანობის ალტერნატივაც უნდა იქნას შესწავლილი.

60. გვ. 130 „როგორც შესავალ თავში განიმარტა დღეის მდგომარეობით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია/სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ხოლო ამ ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს: ჰესის შენობებში (ტერიტორიის ცვლილების გარეშე) დამატებით მაღალი სიმძლავრის ტურბინების დამონტაჟებას, სიმძლავრის გაზრდას და გაზრდილი სიმძლავრის ქსელში ჩართვის („ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ეგხ-სთან მიერთების) მიზნით (74 მეტრიანი) 35 კვ საკაბელო ეგხ-ის და 110 კვ ქვესადგურის მოწყობას. ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების „ბასრა ჰესების“ ჰიდროტექნიკური ნაგებობის ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვის საფუძველი მოცემულ სიტუაციაში არ არსებობს. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზს დაექვემდებარა მხოლოდ ქსელთან მიერთების საპროექტო ტერიტორია.“

აღნიშნული სრულიად მიუღებელია და ადასტურებს თუ რამდენად უმართებულოა „ექსპლუატაციის პირობების შეცვლის“ არასწორი ინტერპრეტაცია. აღნიშნული ლოგიკით ყველა ჰესი ან ნებისმიერი პროექტი შეიძლება დავგეგმოთ გზშ-ის გარეშე, დავიწყოთ მშენებლობა და შემდეგ „ახალი გარემოებების“ საბაბით მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროექტის მასშტაბი. სააგენტომ არ უნდა მიიღოს მსგავსი ცვლილება ისეთი პირობების, რომელიც არ იძლევა საქმიანობის და ადგილმდებარეობების

ალტერნატივების ანალიზის საშუალებას. საერთოდ, დროა კანონპროექტის საერთაშორისო ავტორებთან (UN ECE) შეჯერებით განხილულ იქნას აღნიშნული საკითხი და დაუყოვნებლივ იქნას შეტანილი ცვლილებები კოდექსში, რათა მკაფიოდ განიმარტოს, თუ რას უნდა ემსახუროდეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. დასკვნის სახით, ალტერნატივების გაანალიზება პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ეწინააღმდეგება კოდექსის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ალტერნატივების განხილვა იმპერატიული აუცილებლობაა.

იგივე არგუმენტია გამოყენებული თავში „9.2 საქმიანობის ტექნოლოგიური ალტერნატივები“, ციტატა გვ. 132 „ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების „ბასრა ჰესების“ ჰიდროტექნიკური ნაგებობის ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა საფუძველს მოკლებულია“. იმავე არგუმენტაციით, რაც ზემოთ იქნა წარმოდგენილი მიუღებელია ავტორების მიერ მოყვანილი არგუმენტაცია, ამდენად ალტერნატივები პრაქტიკულად არ არის გაანალიზებული გზმ ანგარიშში, როგორც საქმიანობის, ისე ადგილმდებარეობის შემთხვევებში, რაც ცალსახად კანონდარღვევაა.

61. გვ. 130 თავში „ქსელთან მიერთების საპროექტო ტერიტორიის ალტერნატივების ანალიზი“ შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელ ტერიტორიაზეა საუბარი.

62. ქვეთავის „9.3 უმოქმედობის ალტერნატივა/პროექტის საჭიროების დასაბუთება“ სათაურიდანვე ჩანს, რომ ავტორებმა არ იციან, რას ემსახურება ნულოვანი/პროექტის გარეშე ალტერნატივა. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ალტერნატივის დანიშნულებაა პროექტის საჭიროების დასაბუთება და არა ის, რაც კოდექსით არის მოთხოვნილი „უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას...“, რაც გულისხმობს ალტერნატივების შედარებით ანალიზს აღნიშნულ ნულოვან პირობებთან მიმართებაში და არა პროექტის საჭიროების რეკლამირებას. ავტორებს არ ესმით ალტერნატივების ანალიზის დანიშნულება და ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ კოდექსის მოთხოვნა დარღვეულია და ალტერნატივების ანალიზი რეალურად არ არის შესრულებული.

63. გვ. 133-ზე ავტორების აზრით „სიმძლავრის გაზრდით“ არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებები. მაგრამ პროექტი უკვე განხორციელებულია გზმ-ის მომზადების გარეშე და ავტორების ამგვარი ლოგიკით საერთოდ არ არის საჭირო გზმ-ის მომზადება. მსგავსი მიდგომა მიუღებელია და საქმიანობის განმახორციელებლებს უარი უნდა ეთქვას სიმძლავრეების გაზრდის პროექტზე, რადგან რეალურად არ განახორციელეს ზემოქმედებების შეფასება და შეუძლებელი ხდება მათი შერბილება.

64. გვ. 134-ის ვრცელი პირველი აბზაციით ავტორები სქოლასტიკას მიმართავენ, რათა დაგვაჯერონ, რომ მეტი წარმადობის ტურბინები მოიხმარენ მეტ წყლის რესურსებს და

ლოგიკით, რომ 110-იანი კაბელი რომ ყოფილიყო ცნობილი თავიდანვე, თავიდანვე სრულიადვე ავითვისებდით მდინარეების სრულ პოტენციალსო, გარემოსდაცვითი ხარჯის ცნებას არ ცნობენ ავტორები. ალტერნატივების მსგავსი ანალიზი მიუღებელია.

65. გვ. 135-ზე განცხადება „ქვეყანაში არსებული მცირე ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის 20%-მდე ბასრა ჰესების მიერ იქნება გენერირებული“, სავარაუდოდ, არ შეესაბამება რეალობას.

66. განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ გზმ-ის გვ. 135-ზე განცხადება „საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი ფაქტორებისა და გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის განხორციელებლობა უარყოფით ხასიათს ატარებს და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად. საქმიანობის განხორციელება გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს გამოიწვევს, ვიდრე პროექტის არაქმედების ალტერნატივა და იგი უგულვებელყოფილი იქნა“ არ შეესაბამება ნულოვანი ან არაქმედების ალტერნატივის დანიშნულებას და ვერ გამოდგება ალტერნატივების დასაბუთებად, რაც გზმ-ში პრაქტიკულად არ არის შესრულებული.

67. გვ 136-ზე „გარემოზე ზემოქმედების შეფასებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან...“ არ არის მართებული იმავე მიზეზებით, რაც უკვე გაანალიზებულ იქნა მაღლა - აღნიშნული შედეგია „მცირე“ პროექტის ზემოქმედებების არგანალიზების და რეალურად აღიარებაა, რომ თავიდანვე შეუფასებელი და შემდეგ „სიმძლავრეგაზრდილი“ პროექტის გზმ შეფასება რეალურად არ ხორციელდება, რაც კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევაა.

68. ამავე გვერდის ბოლოს დასკვნა რომ „საერთო ჯამში: დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლებისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც - „მნიშვნელოვანი“, რომლის შერბილება ან/და პრევენცია შეუძლებელია“ ისევ მიუთითებს, რომ ავტორები საერთოდ არ თვლიან საჭიროდ გზმ-ის ჩატარებას, რადგან გზმ სწორედაც რომ მნიშვნელოვანი და ბოლომდე „შეურბილებელი“ ზემოქმედებების მქონე პროექტების შეფასებას ემსახურება.

69. გვ. 144-ზე მტკიცება, რომ "სააგრეგატო (ჰესის) შენობებში ტურბინების სამონტაჟო სამუშაოების შედეგად ხმაურის (45-55 დბ) გავრცელებით გარემოზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს, ვინაიდან სამუშაოები განხორციელდება დახურულ შენობაში და ითვალისწინებს მხოლოდ დანადგარების აწყობით-სამონტაჟო ღონისძიებების განხორციელებას" არ წარმოადგენს არანაირ გარანტიას, რადგან, როგორც წესი, ჰესებს სიცხეში და თითქმის ყოველთვის ძალოვანი

აგრეგატების შენობების კარებები ღია აქვთ და ძლიერ მიმართულ ხმაურსაც იწვევენ. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ გვ. 147-ის ბოლოს შემარბილებელ ღონისძიებებში ექსპლუატაციის ეტაპისთვის კარებების უპირობო დახურვა მითითებული არ არის.

70. გვ. 148-დან ვიგებთ „...შესავალ თავში განიმარტა დღეის მდგომარეობით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია...“ მაგრამ სამუშაოების წარმოების დროს იყო თუ არა გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები? სავარაუდოდ არა, რადგან გზმ არ შესრულებულა „თავდაპირველი“ პროექტისთვის.

71. ისევ გაუგებარ სქოლასტიკასთან გვაქვს საქმე გვ. 150-ზე, სადაც არამართებულია განცხადება და, რომ თურმე „ჰიდროლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით მეტი გამოიმუშავების მიღწევა შესაძლებელი იყო თავდაპირველ ეტაპზეც, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა პროექტის დაგეგმვის და შემდგომი განვითარების ეტაპზე რეგიონში არ არსებობდა მაღალი ძაბვის ქსელი, სადაც მოხდება წარმოებული ენერჯის გენერაცია. აღნიშნულის შესაბამისად, განსაზღვრული რაოდენობით წყლის ხარჯ(ებ)ის ათვისება დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტის შესაძლებლობიდან გამომდინარე (ეკოლოგიური ხარის გათვალისწინებით) და პროექტის განხორციელებით (გამომუშავების სიმძლავრების გაზრდით) წყლის რესურსის გადაჭარბებული მოხმარება მოსალოდნელი არ არის...“, რადგან უფრო მძლავრი ტურბინები უფრო მეტ წყლის ხარჯს მოითხოვს - გვეთანხმებიან ამაში ავტორები, განსაკუთრებით ჰიდროლოგი, იქთიოლოგი და წყლის ბიოლოგი? და თუკი ეს ასეა, მთლიანად გზმ-ის შინაარსი დგას სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან ჰესების უდიდესი ზემოქმედება საქმიანობის/ოპერირების ეტაპზე სწორედაც რომ წყლის ეკოსისტემებზე და რესურსებზე მოდის და მათი არშეფასება საფუძველია გზმ-ის დაწუნების და სიმძლავრეების გაზრდაზე (და საერთოდ პროექტზე) უარის თქმის.

72. ამავე გვ. 150-ზე ავტორების აზრით „მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს რომ „ბასრა ჰესების“ განსახილველ დერეფაშნი (გავლენის ზონაში) მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად წყლის დებიტზე კუმულაციური ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს.“ ჩვენი აზრით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ბუნებრივ ტყეში ეკოსისტემებზეა კუმულაციური ზემოქმედება და არა წყლის მომხმარებლებზე. შეფასება მცდარია და კიდევ ერთი საფუძველია გზმ-ის და საქმიანობის დაწუნების.

73. გვ. 151-ზე ავტორებმა ან მიგვითითონ აღნიშნული მოქმედი სტანდარტის წყარო "განსახილველი პროექტების ფარგლებში ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშება განხორციელდა ქვეყანაში მიღებული სტანდარტის შესაბამისად, რომლის მიხედვით ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განსაზღვრულია მრავალწლიანი საშუალო ხარჯის 10%", ან უარი თქვან ამ „სტანდარტის“ გამოყენებაზე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად დაადგინონ გარემოსდაცვითი ხარჯი, როგორც ამას ითხოვს კოდექსი. ამასთან, აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს თავში არსად არ არის აღიარებული,

რომ „სიმძლავრეგაზრდილი“ პროექტის შედეგად სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შემცირდება გარემოსდაცვითი ხარჯი, ან როგორ იქნება აღიარებული, თუკი გზმ თავდაპირველი პროექტისთვის არ შესრულებულა და ხარჯები არ დადგენილა.

74. გვ. 156-ზე ისევ მეორდება „არგუმენტი“, რომ „როგორც შესავალ თავში განიმარტა დღეის მდგომარეობით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია, ხოლო ამჟამად დაგეგმილი ღონისძიებების ...ფარგლებში ძუძუმწოვრებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს...“, აღნიშნული „არგუმენტი“ ბათილდება იმავე არგუმენტებით რაც მაღლაც მრავალჯერ იქნა მოყვანილი: მსგავსი „ექსპლუატაციის პირობების ცვლილება“ არ შეესაბამება არც კოდექსს და არც ევროპულ, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას - ზემოქმედებები არც „თავდაპირველი“ პროექტისთვის შეფასებულა და არც „შეცვლილი“-სთვის.

75. გვ. 156-ზე განცხადება „ვინიდან, „ბასრა ჰესების“ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობით წყალზე დამოკიდებულ ძუძუმწოვრებზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია“ თვითონ არის სრულიად „საფუძველს მოკლებული“, იხილეთ წინა და მრავალი სხვა შენიშვნა მსგავს განცხადებებთან დაკავშირებით.

76. იგივე შეხება ხელფრთიანებთან დაკავშირებით დასკვნების უმართებულობას, რომ თურმე „სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია“ (გვ. 157).

77. ასეთივე ცინიკურია არგუმენტაცია ფრინველებთან დაკავშირებით რომ „როგორც უკვე განიმარტა, დღეის მდგომარეობით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია“ (გვ. 158): ისეთივე მიუღებელია, როგორც სხვა ყველა შემთხვევაში. პრაქტიკულად ზემოქმედება არცერთ რეცეპტორზე არაა აღიარებული.

78. გვ. 158-ის თანახმად „მნიშვნელოვან დადებით გარემოებას წარმოადგენს, რომ როგორც არსებული, ისე საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზები საკაბელო გადაწყვეტისაა (იზოლირებული სადენი), რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ეგზ-სთან შესაძლო შეჯახებით ფრინველთა დაზიანების ან/და სიკვდილიანობის რისკს.“ 110 კვ ეგზ „გამორჩათ“ ავტორებს.

79. გვ. 158-ზე არც ქვეწარმავლებზე იქნება ზემოქმედება, რადგან ის უკვე დამდგარია.

80. დამატებითი კომენტარის გარეშე არც ამფიბიებს გაუმართლათ ზემოქმედებების შეფასებებში, რადგან „როგორც უკვე განიმარტა „ბასრა ჰესების“ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების მოწყობით ამფიბიებზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია.“ (გვ. 159).

81. რაც შეეხება სალამანდრას, სიმძლავრეგაზრდილი პროექტი იქონიებს უფრო მეტ ზემოქმედებას ოპერირების ეტაპზე თავდაპირველ პროექტთან მიმართებაში? რათქმუნდა იქონიებს, მაგრამ ეს ავტორების მხრიდან აღიარებული არ არის (გვ. 160).

82. საწუხაროდ სალამანდრას გარდა არც იქთიოფაუნას და წყლის სხვა ბინადრებს გაუმართლა და არც ამ შემთხვევაში არის ავტორების მხრიდან აღიარებული, რომ ოპერირების ეტაპზე თავდაპირველ პროექტთან მიმართებაში რაღათქმუნდა გაცილებით ძლიერ ზემოქმედებას ექნება ადგილი (გვ. 161-163).

83. გვ. 164-ზე ღონისძიებაში „ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით“ და სხვა რამდენიმე მსგავს ადგილას (მათ შორის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელ ცხრილში ექსპლუატაციის ეტაპზე, ცხრილი 44) შემდეგშიც „შემთხვევით“ არის გამორჩენილი „კვარტლური“ მონიტორინგი, მიუხედავად გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოთქმული მოთხოვნებისა კონკრეტულად ამ პუნქტთან მიმართებაში.

84. დამატებითი კომენტარის გარეშე, რომელიც იგივეა როგორც ზემოთ შესაბამის შემთხვევებში, გვ. 165-ზე იგივე სრულიად გაუმართლებელი დასკვნა კეთდება, რომ „...სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად „ბასრა ჰესების“ და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით ფლორისტული გარემოზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია.“


85. სურათის 51 ქვემოთ გვ. 167-ზე, სადაც აშკარად ჩანს საპროექტო ზონაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ნათქვამია, რომ "საპროექტო ზონაში არსებული გარემო-პირობების, მათ შორის რელიეფური პირობების, გათვალისწინებით საკვლევ არეალში ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს, შესაბამისად „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინების საჭიროება არ დგას". აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისგან თავის არიდებაა.

86. გვ. 169-ზე აღიარებულია რომ „ამ ეტაპზე ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია (სამუშაოები დასრულების ეტაპზეა), მათ შორის გაყვანილია მისასვლელი გზები, რომელთა მოწყობა შეიძლება ითქვას დაკავშირებული იყო გეოლოგიურ გარემოზე ძირითად ზემოქმედებასთან“. ამდენად სამუშაოები არ არის დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული, შესაბამისად ამ პირობებში „ექსპლუატაციის პირობების შეცვლა“ არ არის მართებული გადაწყვეტილება არც სკრინინგის და არც სკოპინგის კონტექსტში, მითუმეტეს რომ 2026 წლიდან ამოქმედდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სათანადო

პროცედურა, რაც აშკარად გულისხმობს რომ ობიექტი უნდა იყოს დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული და არა მშენებლობის პროცესში მყოფი. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სათანადო პროცედურის მოთხოვნა 2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან დადგება, მაგრამ უკვე მკაფიოდ არის კოდექსის II თავის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტით განმარტებული, რომ საკითხი შეეხება ამოქმედებულ საწარმოებს და არა მშენებლობის პროცესში მყოფთ. სააგენტოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, არ შეესაბამება კოდექსის სულისკვეთებას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ კოდექსის არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს ისეთ ზემოქმედებებს გეოლოგიურ გარემოზე, როგორებიც ნაჩვენებია სურათებზე 52 და 53 - გამოსახული მდგომარეობა არსებითად უნდა დაქვემდებარებოდა გარემოსდაცვით შეფასებას და გარემოსდაცვით მართვას.

87. გვ. 171-ზე განმარტებულია, რომ „სათავე კვანძებიდან მდინარის ბუნებრივ კალაპოტში მუდმივად გატარებული იქნება ეკოლოგიური ხარჯი, რომელსაც დაემატება ასევე მდ. ბჟუჟას ხეობის სხვადასხვა მცირე შენაკადები, შესაბამისად განსახილველი საქმიანობის განხორციელებით ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში ტენიანობის შემცირებას ადგილი არ ექნება.“ აღნიშნული არ დასტურდება მაგ. ხადორი-1 ჰესის შემთხვევაში, სადაც კარგად ვლინდება, თუ როგორ არის შეცვლილი მდინარის ხეობაში კლიმატი, სადაც პრაქტიკულად ნულოვანი ეკოლოგიური ხარჯის პირობებში გრილი კლიმატის ნაცვლად ჩახუთული გარემო იქმნება. დიდი ალბათობით იგივე შედეგს ექნება ადგილი საპროექტო არეალის ხეობებშიც.

88. სოციალური ზემოქმედების ნაწილში გვ. 167-ზე გაცხადებულია, რომ „> ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში წყალმოსარგებლები არ გვხვდება; > საკველვეი ტერიტორია (მდ. ბჟუჟას ხეობა) არ წარმოადგენს სოციალური მნიშვნელობის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას ან/და კულტურულ ღირსშესანიშნავობას. წინასწარი შეფასებით ტურისტული თვალსაზრისით საპროექტო დერეფანი მაღალი ღირებულებით არ გამოირჩევა;“ მარტივი ინტერნეტ ძებნით დასტურდება, რომ არ არის მართებული, იხ. მაგალითად ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის პოპულარულ ეროვნული პორტალზე მოყვანილი მეტად ვიზუალური ბმული <https://georgia.travel/ka/კაიაკინგი-ბჟუჟზე>:



89. გვ. 177-ზე ავტორები უნდა ჩამოყალიბდნენ, ან წყალსაცავები მცირე ზომისაა და პრაქტიკულად ემთხვევა მდინარის კალაპოტს, ან ამტკიცებენ, რომ „საკვლევ არეალში „ბასრა ჰესების” არსებობა წარმოადგენს მდინარე ბჟუყას ხარჯების, მათ შორის წყალმოვარდნების ეფექტურ მარეგულირებელ „ბერკეტს” - შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ წყალმოვარდნის პერიოდში განსახილველი ჰიდროტექნიკური ობიექტების ხეობაში არსებობა დადებითად აისახება შესაძლო პროგნოზირებული ავარიული რისკების შემცირებაზე.“ ჩვენ დასაბუთებული ეჭვი გვაქვს, რომ არცერთი მტკიცებულება არ შეესაბამება რეალობას.

90. გვ. 177-ის ბოლო აბზაცში ოპტიმისტური განცხადებების ნაცვლად აჯობებდა ზედმიწევნით შეესრულებინათ კოდექსის მუხლი 10. გზმ-ის ანგარიში პუნქტი 3-ის მოთხოვნა „ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“ და მაშინ დავინახავდით რამდენია სარგებელი, რომელსაც მიიღებს შპს „პარფუს ბასრა“ და მის დამფინანსებელი კერძო მევალე ბანკები და რამდენს საქართველოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი საზოგადოება, რომელთა საჯარო სიკეთეს წარმოადგენს მდინარე და მისი წყლის რესურსები და მათგან მიღებული შემოსავლების და არა „კეთილი ნება“ კერძო კომპანიების და ბანკების. იქნებ ადგილობრივებისთვის ტურიზმიდან შესაძლო შემოსავლების დანაკარგი მაინც აანაზღაურონ სამართლიანად და გულუხვად.

91. აღნიშნულთან დაკავშირებით მართლაც „საინტერესოდ“ გამოიყურება გზმ-ს თავი „14. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება“, სადაც პირველად საქართველოს გზმ-ების ისტორიაში ავტორები ცდილობენ შეასრულონ მუხლი 10. გზმ-ის ანგარიში პუნქტი 3-ის მოთხოვნა „ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით

გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში“. თუმცა, მსჯელობა მხოლოდ ხარისხობრივია და არ შეიცავს დანაკარგისა და სარგებლის რაოდენობრივ მონეტარულ ანალიზს. სხვა მხრივ, აღნიშნულ თავში მოყვანილი დასკვნები სრულიად მიკერძოებული ხასიათს ატარებს და მხოლოდ მცდელობაა ფორმალურად შესრულდეს კოდექსის მოთხოვნა ისე, რომ არ შესრულდეს რაოდენობრივი ანალიზი იმისა, თუ რა სარგებელს მიიღებს კერძო სექტორი და რა იქნება საზოგადოებრივი სარგებელი და განსაკუთრებით ხარჯი, პროექტის შედეგად.

92. გვ. 179-ზე „ტერიტორია დაკარგავს არსებულ ვიზუალურ მხარეს დროებით აღარ იქნება მიმზიდველი ფაუნის წარმომადგენლებისათვის“. აქ, როგორც ჩანს, ფაუნის წარმომადგენლების ნაცვლად ადამიანები, მათ შორის ტურისტები იგულისხმებიან.

93. გვ. 180-ზე აღწერილ შემარბილებელ ღონისძიებებში მოთხოვნილია „ნაგებობების პერიოდული გადაღებვა გარემოსთან შეხამებული ფერებით“, თუმცა, ეს არ შეხებია ყვითელ კონტინერის ტიპის შენობას, რომელიც 52-ე ნახაზზეა მოყვანილი. ასევე ნალებად სავარაუდოა შესრულდეს იქვე აღწერილი მეორე ღონისძიება: „ქვესადგურის ინფრასტრუქტურის ობიექტების შეღებვა გარემოსთან შეხამებული ფერებით“.

94. ქვეთავში 10.12 საუბარია კუმულაციურ ზემოქმედებებზე და მსჯელობა მიდის ყველაფერზე, გარდა საკუთრივ 4-ჰესიანი კასკადის კუმულაციური ზემოქმედებებს მათი სიმძლავრის გაძლიერების და შესაბამისად, წყალაღების ზრდის შედეგად. არც მისასვლელი გზების და ეგზ-ების კუმულაციურ ეფექტზეა საუბარი. თვით უეცრად აღმოჩენილი „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ეგზ-ის გაყვანასაც კი, რომელმაც განაპირობა სიმძლავრის მომატების იდეის წარმოშობა, არ აქვს კუმულაციური ზემოქმედება როგორც ეგზ-ს და როგორც წყლის ხარჯის მნიშვნელოვანი მოხმარების „გამომწვევ“ მიზეზს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია „პარვუს ბასრას“ არ სცოდნოდა ამ 110 კვ ხაზის გაყვანის გეგმების შესახებ, რადგან კომპანიის მენეჯმენტში წამყვან ფიგურას წარმოადგენს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ათზე მეტი წლის განმავლობაში, იხ. ფოტოსურათი ქვემოთ (წყარო <http://parvusgroup.ge/wp-content/uploads/2024/07/22-scaled.webp>):



სქართველოს ელექტროსისტემის 10-წლიანი გეგმების „არცოდნა“ ან დიდი მასშტაბის არაკომპეტენტურობა, ან სახელწიფო ორგანოების განგებ შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რომ თურმე შპს „პარვუს ჯგუფმა“ არაფერი იცოდა მის მიერ მშენებარე ჰესის რეგიონში 110 კვ ძაბვის ეგხ-ის გაყვანის გეგმებთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით უფრო მეორეს აქვს ადგილი, რაც რეაგირებას მოითხოვს შესაბამისი უწყებების მხრიდან, პირველ რიგში კი დაუყოვნებლივი უარის თქმას „სიმძლავრეები გაზრდის“ არგუმენტზე გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან, რადგან იგი თავიდანვე იქნა შეცდომაში შეყვანილი არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდებით უკვე სკრინინგის და შემდეგ სკოპინგის, ახლა კი გზშ-ის ეტაპზეც.

95. აღნიშნული მდგომარეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რატომ უნდა იქნას მოთხოვნილი საქართველოს ელექტროსისტემის 10-წლიანი გეგმების სგშ-ები.

96. ასევე დაუყოვნებლივ საკანონმდებლო ინიციატივას საჭიროებს ინტერესების კონფლიქტის თემა, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი სიტუაცია, როდესაც ყოფილი ხელმძღვანელი შესაძლოა ბოროტად სარგებლობდეს ინსაიდერული ინფორმაციით და აზიანებდეს გარემოს, რასთანაც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე გზშ-ის იგნორირებით.

97. გვ. 215-ის დასაწყისშივე ჩანს, რომ კიდევ ერთი „უპირატესობა“ პროექტის წარმადობის გაზრდის „მიდგომის“ იმაში მდგომარეობს, რომ „ვინაიდან, პროექტი

წარმადობის გაზრდის ნაწილში არ გულისხმობს არსებული გარემოს სახეცვლილებას, გზმ-ის ანგარიში არ მოიცავს - ინფორმაციას წარმადობის გაზრდის პროექტის (დაგეგმილი საქმიანობის) შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ.“ ანუ, დაიწყეს საქმიანობა გზმ-ს გარეშე, დააზიანეს გარემო, გაზარდეს წარმადობა და შეასრულეს შესაბამისი გზმ და თურმე გარემოს საწყის მდგომარეობაში აღდგენა აღარ არის საჭირო თითქოს მათივე დაზიანებული არ იყოს გარემო ყოველგვარი გზმ-ის გარეშე „მცირე“ სიმძლავრის ჰესების მშენებლობისას. მსგავსი მიდგომა ცინიკურ ხასიათს ატარებს და არ უნდა იქნას ნებადართული გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ.

98. აქვე გვ. 215-ზე ბოლოს განცხადებულია, რომ სრული დემონტაჟის „...სისრულეში მოყვანისთვის საჭირო იქნება სპეციალური პროექტის მომზადება, რაც დეტალურად გაითვალისწინებს ყველა გარემოსდაცვით რისკებს და მათ პრევენციულ ღონისძიებებს...“, მაგრამ, საინტერესოა, ვინ დააფინანსებს ამ „სპეციალურ პროექტს“? საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ვერაფერს ვერ მიიღებს საჯარო კუთვნილებაში მყოფი წყლის რესურსებიდან მიღებული შემოსავლებიდან? ამ კითხვებზე უნდა გვიპასუხოთ როგორც „პარვუს ჯგუფმა“, ისე გზმ-ზე და საჯარო ეკონომიკის დარგებზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანოებმა/უწყებებმა.

99. თავი 11, რომელშიც ორი „შემაჯამებელი“ ცხრილის (43, 44) სახით არის მოყვანილი კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპის შემარბილებელი ღონისძიებები არ გამოირჩევა შემოქმედებითი მხარით და მასში თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი მანამდე დასახელებული ღონისძიებები, ამდენად ეს ცხრილები აღარაა განხილული, რადგან სათანადო შენიშვნები უკვე გამოთქმულ იქნა წინამდებარე დოკუმენტში.

100. იგივე შეეხება მონიტორინგის ცხრილებს 45 და 46, მითუმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების მეთოდი გამოიყენება, ხოლო ინსტრუმენტული დაკვირვების შედეგები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებშია გაწერილი, მხოლოდ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეწოდება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა არ არის მოთხოვნილი.

101. თავს „15. დასკვნები და რეკომენდაციები“ ასევე არ შევხებით დეტალურად, რადგან სათანადო საკითხები უმეტესწილად გაანალიზდა წინამდებარე დოკუმენტში. მხოლოდ ჩვენს დასკვნებს ჩამოვთვლით პროექტის დასკვნებთან მიმართებაში (პრობლემური საკითხების ჩამონათვალი არასრულია):

- პროექტს ნამდვილად ექნება მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზემოქმედებები
- საქმიანობის მასშტაბის მიუხედავად მნიშვნელოვან ზემოქმედებებს აქვს ადგილი
- გარემოსდაცვითი ხარჯები ძალზე მცირეა და უსაფუძვლოდაა გათვლილი
- დაუჯერებელია, რომ კომპანიის მენეჯმენტმა არაფერი იცოდა 110 კვ ეგზ-ის გეგმებზე
- შესაბამისად „წარმადობის გაზრდის“ „მოულოდნელი“ იდეა სრული ფიქციაა

- შედეგად, უძლიერესი ზემოქმედებები დადგა ყოველგვარი გზშ შერბილების გარეშე
- ზემოქმედებები უკვე შეუქცევადია, ამ გზშ-ის საშუალებით ვერაფერი შერბილდება
- კუმულაციური ზემოქმედებები რეალურად არ განიხილება და მიჩქმალულია
- იქთიოლოგიური კვლევები არ ჩატარებულა სათანადოდ არც გზშ-მდე, არც გზშ-ში
- 5 წერტილიდან მხოლოდ 1-ში იქნა კალმახი დაფიქსირებული, ალბათ კასკადის გამო
- ბიომრავალფეროვნების კვლევის დასკვნები და შედეგები მხოლოდ „დადებითია“
- იგივე შეეხება გზშ-ის ექსპერტების ჯგუფის ყველა წევრის მიდგომებს და დასკვნებს
- გეოლოგიურ გარემო მნიშვნელოვნადაა დაზიანებული, თან გზშ შერბილების გარეშე
- წყლის ბინადრებზე ზემოქმედება აშკარად მაღალია და შერბილების გზები არ ჩანს
- კუმულაციური ზემოქმედება საკუთრივ კასკადს, ეგზ-ებს და გზებსაც კი არ იხილავს
- სოციალურ-ეკონომიკური შეთანხმებები მიღწეული არ არის - ოქმშია თურმე „ასახული“
- მიღებული შემოსავლები მხოლოდ კერძო სექტორის ანგარიშებისკენაა „მიმართული“
- განმახორციელებელი არ განიხილავს კასკადის დემონტაჟს და ამ ხარჯების დაფარვას
- საზოგადოებრივი სარგებელი უმცირესია, საზოგადოებრივი ხარჯები - მაქსიმალური
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროცედურების მანიპულირებას აქვს ადგილი
- დასკვნაში „მინიშნებულია“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილები სამომავლოდაც

102. გვ. 222-ზე თან წერია რომ „საზოგადოების მხრიდან საკვლევი საქმიანობის მიმართ ურყოფითი პოზიციები არ დაფიქსირებულა“, თანაც იმავე გვერდზე მითითებულია რომ „არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ წარდგენილი იქნა შესაბამისი შენიშვნები/მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ პროცედურებს და ჰესების პროექტების შესაძლო ხელოვნურად დაყოფას, ასევე გარემოსდაცვით საკითხებს, მათ შორის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა/მეთოდოლოგიას, სიმძლავრეების გაზრდას და აღნიშნულიდან გამომდინარე გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. გარემოსდაცვითი მიმართულებით კვლევების ჩატარების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე და გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების კვლევების ჩატარების მნიშვნელობას“. დაუჯერებელია, რომ აღნიშნულ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ დადებითი პოზიცია გამოეთქვა.

103. ზემოხსენებულს მხოლოდ ის შეგვიძლია დავუმატოთ, რომ მომდევნო ცხრილში 49 მოყვანილი კითხვა-პასუხიდან ვიზიარებთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ დასმულ შეკითხვებს და არ ვიზიარებთ კომპანიის მიერ გაცემულ პასუხებს.

104. რაც შეეხება 236-ე გვერდზე ქვეთავში „ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციების მართვა/შერბილება“ გამოთქმულ შენიშვნას „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მდ. ბჟუჟას ხეობაში ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების არსებობა ერთგვარ დადებით გარემოებას წარმოადგენს ღვარცოფული მოვლენების ქვედა ბიეფში (განსაკუთრებით დასახლებულ ტერიტორიაზე) გავრცელების პრევენციის თვალსაზრისით. კერძოდ, „ბასრა ჰესების“ სათავე კვანძები ქმნის ბარიერს, რომლებიც გარკვეულწილად შეამცირებს ღვარცოფული მოვლენების ძალას და გავრცელებას“: ეს

აზნაცი სრულად ასახავს კომპანიის უსაფრთხოების კულტურას - როგორც ჩანს ისინი არ აღიარებენ მაქსიმას "Safety First!" - კომპანიის ოპტიმიზმს სავარაუდოდ ვერ გაიზიარებენ მესტიაჭალა-2-ის და ნენსკრას ჰესების მესვეურები, რომლებმაც თავის თავზე გამოცადეს სტიქიის ძალა.

105. შეჯამების სახით წარმოვადგენთ ძირითად წინადადებებს და მოსაზრებებს:

შეუსაბამობა კანონმდებლობასთან. პროექტი არ შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის მოთხოვნებს, განსაკუთრებით რაც შეეხება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გამოყენების უმართებულობას სკრინინგის და სკოპინგის პროცედურებთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია და კვლავაც გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებებს გარემოზე ყოველგვარი შეფასების და შერბილების გარეშე.

მნიშვნელოვანი ზემოქმედებები გარემოზე. ჰესების კასკადს და მის გაფართოებას ექნება მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ზემოქმედებები მდინარის ეკოსისტემაზე, მათ შორის წყლის ნაკადის შემცირება და ჰაბიტატების ფრაგმენტაცია.

ეკოლოგიური ფაქტორების უგულებელყოფა. გარემოზე ზემოქმედებების შეფასება არასრულყოფილია. რამდენიმე მნიშვნელოვანი სახეობის, მათ შორის თევზებისა და ძუძუმწოვრების კვლევა არასაკმარისია, ხოლო შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები სრულიად არაადამაჯერებელი.

საზოგადოების მოსაზრებების იგნორირება. საზოგადოებრივი კონსულტაციები ზედაპირულად იყო. არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი შენიშვნები, განსაკუთრებით კუმულაციური ზემოქმედებების შესახებ, არ გათვალისწინებულა.

პროექტის დაგეგმვის ხარვეზები. ალტერნატივების ანალიზი (ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური) არ შეესაბამება კოდექსის მოთხოვნებს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საპროექტო გადაწყვეტილებების ადეკვატურობას.

კუმულაციური ზემოქმედების იგნორირება. ჰესების კასკადის მეორე გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება, განსაკუთრებით წყლის ეკოსისტემებზე და ბინადრებზე არ არის შეფასებული.

სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი. პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი სათანადოდ არ არის შეფასებული. სარგებლის უდიდესი ნაწილი მიემართება კერძო ინტერესების სასარგებლოდ არა საზოგადოების, რომელიც გაიღებს მნიშვნელოვან დანახარჯებს. შესაბამისად, აუცილებელია შეჩერდეს როგორც თავდაპირველი, ისე სახეცვლილი პროექტის განხორციელება.



№ 83/2024

23-ოქტ-24

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

თქვენი მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის 21/10829 წერილის პასუხად, რომლითაც გადმოგვეგზავნა კომპანიის მიერ 2024 წლის 14 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ N8282 განცხადებასთან დაკავშირებით, „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების სიმძლავრეების გაზრდის და ქსელზე დაერთების პროექტის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები გაცნობებთ კომპანიის პოზიციას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მამუკა გვილავას დასკვნაში მოცემული მოსაზრებები არ არის არგუმენტირებული, არ ემყარება არანაირ კვლევას/საექსპერტო შეფასებას და მათი დიდი ნაწილი ცინიკურია, ასევე შენიშვნების ნაწილს ჩვენს პროექტთან შემხებლობა არ აქვს და გაუგებარია. გარდა ამისა, უსაფუძვლოა კომპანიის და პროექტის მიმართ გამოთქმული ბრალდებები და კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილების გაცემისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წარმოგიდგენთ რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებას:

შეუსაბამობა კანონმდებლობასთან.

წარმოდგენილ გზშ ანგარიშში განმარტებულია, რომ ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესები, როგორც საწყის, ისე მოცემულ ეტაპზე წარმოადგენენ დამოუკიდებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს (შესაბამისი სათავეებით, სადაწნეო სისტემებით და ძალური კვანძებით) და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებით ოთხი დამოუკიდებელი ჰესია და არა „კასკადი“ როგორც შენიშვნის ავტორი მოიხსენიებს. ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების ფუნქციონირება ემყარება ინდივიდუალურ ტექნოლოგიურ სქემას. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ კომპანიამ ხელოვნურად დაანაწევრა ჰესების პროექტები მცირე სიმძლავრეებად, რათა თავიდან აერიდებინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.8 ქვეპუნქტის თანახმად, 2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. ვინაიდან, დაგეგმილი იყო ოთხი ინდივიდუალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელთა სიმძლავრე არ შეადგენდა 2 მეგავატს, აღნიშნული არ საჭიროებდა კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლას, რაც დასტურდება ასევე გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილით.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
23- 10 2024წ.
№ 10325

სიმძლავრეების გაზრდასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ვინაიდან ჰესების დაგეგმვისა და მემორანდუმების გაფორმების ეტაპზე არ იყო ცნობილი მაღალი ძაბვის 110 კვ ორჯაჭვა ეგზ „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობის დასრულების და ჰესების ქსელზე მიერთების შესაძლებლობის საკითხები, საწყის ეტაპზე მიუხედავად მდინარე ბჟუჟას ხეობაში ჰიდროლოგიური პოტენციალისა, ვერ მოხდებოდა ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და მემორანდუმებიც აღნიშნულის შესაბამისად გაფორმდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ცნობილია ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების გენერირებული ელექტროენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ახალ ქსელთან მიერთების საკითხი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წერილი N2354/09 მოცემულია გზშ ანგარიშის დანართად), შესაბამისად დაიგეგმა ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და დოკუმენტაციის გარემოს ეროვნულ სააგენტოში კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენა.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ რადგან დაიგეგმა ჰესების სიმძლავრეების გაზრდა, მოქმედი კანონმდებლობით ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების შემთხვევაში საჭირო იყო სკრინინგის პროცედურის გავლა, ხოლო ბასრა 1 და ბასრა 2 ჰესების შემთხვევაში - გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა მათი გაზრდილი საპროექტო სიმძლავრეების გათვალისწინებით, ამასთან 35 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოთხივე ჰესზე, ეგზ-ზე და ქვესადგურზე წარმოდგენილიყო გაერთიანებული გზშ ანგარიში. აქვე, ვინაიდან აღნიშნული ჰესებიდან გამომუშავებული ენერჯის ჩართვა მოხდება საერთო ქვესადგურში, შესაძლებელია კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილით როგორც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული საქმიანობები განხილულ იქნეს ერთი პროცედურის ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტექნიკურ-ფუნქციური კავშირიდან გამომდინარე გაკეთებულიყო ერთიანი გზშ-ის ანგარიში და ზემოქმედების შეფასება მომხდარიყო საერთო შეფასების ჭრილში. გამომდინარე აქედან, გზშ-ის ანგარიშში განხილულია სიმძლავრეების გაზრდის შესაბამისად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები. ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების მშენებლობა განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად და გზშ-ის პროცედურაზე დოკუმენტაციის წარმოდგენაც მოხდა კოდექსის მოთხოვნების დაცვით. პროექტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ნაწილში ექსპერტის მოსაზრება უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი. ექსპერტი იქვე უთითებს ინტეგრირებული სანებართვო პროცედურის მოთხოვნას 2026 წლიდან, თუმცა სამრეწველო ემისიების შესახებ კანონის რეგულირების სფეროს არ მიეკუთვნება ჰესები, ეგზ და ქვესადგურები და კანონი სამრეწველო საქმიანობებს ეხება, შესაბამისად ჩვენს პროექტთან შეხება არ აქვს.

საზოგადოების ინფორმირება/სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკით აღიარებული რეგულაციების მიხედვით, შპს „პარფუს ბასრა“ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში თემში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების

მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. წინასწარი მოკვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ჯანდაცვის და განათლების მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება პროექტების განხორციელება. „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების პროექტის გაცნობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასთან და აღნიშნული შეხვედრები პერმანენტულად გაგრძელდება. ასევე ჩატარდა სკოლებსა და ბალებში შეხვედრები, ტრენინგები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებზე და განახლებადი ენერჯის მნიშვნელობის შესახებ.

გარდა ამისა „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების სიმძლავრეების გაზრდის და ქსელზე დაერთების პროექტზე სააგენტოში მიმდინარე წარმოებების ფარგლებში კოდექსის შესაბამისად გაიმართა როგორც სკოპინგის ეტაპზე (26 ივნისს), ასევე გზშ-ის ანგარიშის (26 სექტემბერს) საჯარო განხილვები. აღნიშნულ საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ მათ შორის გარემოს ეროვნული სააგენტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე გარემოსდაცვით საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა როგორც მიმდინარე ასევე დაგეგმილი სოციალური პროექტები. მოსახლეობის კითხვებზე გაეცა პასუხები და გაკეთდა შესაბამისი განმარტებები. სკოპინგის ეტაპზე „ეკოს“ მიერ წარმოდგენილ იქნა შენიშვნები, რომლებზეც პასუხები თან ერთვის გზშ ანგარიშს.

გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ როგორც მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პროექტთან და მისგან გამომდინარე გარემოზე თუ სოციალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია არ დაფიქსირებულა.

სოციალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, დასკვნაში მოცემულია პორტალზე არსებული ბმული „კაიაკინგი ბჟუჟზე“. გაუგებარია რა კავშირი აქვს აღნიშნულს ჩვენს პროექტთან, რადგან „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების საპროექტო არეალში კაიაკინგი არ ტარდება და აღნიშნული დასტურდება ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 22 ოქტომბრის წერილით (იხ. დანართი). შესაბამისად ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ექსპერტის მოსაზრება საზოგადოების და სოციალური საკითხების იგნორირების შესახებ.

ალტერნატივების ანალიზი.

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2 მგვტ-მდე ჰესების მშენებლობა რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ალტერნატივების განხილვას. ჰესების თავდაპირველი პროექტები დაიგეგმა კონკრეტულ ლოკაციებზე. ვინაიდან ამ ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს: ჰესების შენობებში (ტერიტორიის ცვლილების გარეშე) დამატებით მაღალი სიმძლავრის ტურბინების დამონტაჟებას, სიმძლავრის გაზრდას და გაზრდილი სიმძლავრის ქსელში ჩართვის („ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ მაზვის ეგზ მიერთების) მიზნით (74 მეტრიანი) 35 კვ საკაბელო ეგზ და 110 კვ ქვესადგურის მოწყობას, ფაქტობრივი მდგომარეობის

გათვალისწინებით ჰესების ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვის საფუძველი არ არსებობს. ალტერნატიული ტერიტორიების მოძიების და გაზრდილი სიმძლავრეების შესაბამისად ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა ახალ ტერიტორიებზე დამატებით ზემოქმედებას გამოიწვევდა ვინაიდან კონკრეტულ ლოკაციებზე უკვე არსებობს თავდაპირველი პროექტის ფარგლებში მოწყობილი ინფრასტრუქტურა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ წარმოდგენილ გზშ ანგარიშში განხილულია ქსელთან მიერთების ტერიტორიის ადგილმდებარეობის ალტერნატივები და ქვესადგურის ტექნოლოგიური ალტერნატივები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების განხილვის შესახებ ექსპერტის მოსაზრებები სცილდება ყოველგვარ დასაბუთებას.

ეკოლოგიური ხარჯი.

საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს ნორმა და დამტკიცებული წყლის ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლის ერთიანი მეთოდი. როგორც წესი, ჰიდროენერგეტიკის სფეროში, ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად იღებენ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %-ს. საქართველოში ყველა მდინარეზე და მონაკვეთზე არ არის სრული ჰიდროლოგიური მონაცემები, ამიტომ ჰიდროლოგიური მონაცემების არარსებობის ან სიმცირის შემთხვევაში გამოიყენება პარამეტრები, რომელიც ეყრდნობა საექსპერტო შეფასებებს. ეკოლოგიურ ხარჯზე მსჯელობისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების პროექტი დამკვიდრებული პრაქტიკის მიუხედავად, ითვალისწინებს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10% ზე მეტი ეკოლოგიური ხარჯის დატოვებას. გზშ ანგარიშში დეტალურად არის მოცემული ეკოლოგიურ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სრულად შესაბამისობაშია დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან. გაურკვეველია გარემოსდაცვითი ხარჯის დასადგენად რომელ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებაზე მიგვითითებს ექსპერტი.

გარდა ზემოაღნიშნული განმარტებებისა, წარმოგიდგენთ შენიშვნებზე გზშ-ის ავტორთა პასუხებს (იხ. ცხრილი).

კომპანია იმედს გამოთქვამს, რომ დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებები არ იქნება მხედველობაში მიღებული და გათვალისწინებული სააგენტოს მიერ, რადგან დაუსაბუთებელია და ყოველგვარ არგუმენტს მოკლებული. გთხოვთ, კოდექსით დადგენილ ვადებში გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: 1. შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი.

2. საქართველოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2024 წლის 22 ოქტომბრის N36-3624296254 წერილი.

პატივისცემით,

შპს „პარვუს ბასრა“


დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

მამუკა სხილაძე

info@parvusgroup.ge

თბილისი, კოსტავას 37/39

ბიზნეს ცენტრი გრატო, სართული IV



| № | შენიშვნებზე რეაგირების შესახებ |
|----|--|
| N1 | მე-6 გვერდზე წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველები, სადაც ზოგად ჭრილში განმარტებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული პროცედურები, მაშ შორის მე-2 აბზაცის მიზანია მხოლოდ და მხოლოდ კოდექსით განსაზღვრული ზოგადი პროცედურების განმარტება. გზშ-ის ანგარიშიდან თვალსაჩინოა რომ პროექტის შედგენის საკანონმდებლო საფუძველს არ წარმოადგენს კოდექსის II თავის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი. პროექტის გზშ-ის ანგარიშის შემუშავების საფუძველი მითითებულია მე-3, მე-4 და მე-5 აბზაცების სახით. |
| N2 | როგორც ეს გზშ-ის ანგარიშში განმარტებულია, შპს „პარვუს ბასრა“ მდ. ბჟუჟას ხეობაში ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურების „ბასრა 1“ (საპროექტო სიმძლავრე 1,98 მგვტ), „ბასრა 2“ (საპროექტო სიმძლავრე 1,97 მგვტ), „ბასრა 3“ (საპროექტო სიმძლავრე 1,96 მგვტ) და „ბასრა 4“ (1,98 მგვტ) ჰესების მშენებლობა-ექსპლუატაციას, რაც არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურების გავლას. მოცემულ ეტაპზე, არსებული სქემით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ამასთან როგორც გზშ-ის ანგარიშის მე-3 თავში განიშარტა „ბასრა ჰესები“, როგორც საწყის, ისე მოცემულ ეტაპზე წარმოადგენენ დამოუკიდებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს (შესაბამისი სათავეებით, სადაწნო სისტემებით და ძალური კვანძებით). ჰესების ფუნქციონირება ემყარება ინდივიდუალურ ტექნოლოგიურ სქემას. ტერმინი „კასკადი“ საერთოდ არ არის გამოყენებული ვინაიდან ბასრას ჰესები არ წარმოადგენს კასკადური ტიპის ჰიდროელექტროსადგურს. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კასკადის განმარტებას შესაბამისად დაუსაბუთებელია რაზე დაყრდნობით აპელირებს შენიშვნების ავტორი როდესაც ბასრა ჰესებს უწოდებს კასკადს. |
| N3 | კომპანიას რა თქმა უნდა თვითნებურად არ მიუღია მშენებლობის გადაწყვეტილება. ობიექტების მშენებლობა განხორციელდა შესაბამისი მემორანდუმების და სამშენებლო ნებართვების საფუძველზე, რაც შეეხება გარემოსდაცვით ნაწილს, როგორც თქვენთვის ცნობილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას. |
| N4 | კოდექსი ცნობს საკანონმდებლო საფუძველებს. განსაზღვრული საკანონმდებლო საფუძველების უკეთ შესასწავლად საჭიროა კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის სიღრმისეული ანალიზი. |
| N5 | აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით საჭიროა დაკვირვებით შესწავლა გზშ-ის ანგარიშის 53 გვ-დან 56 გვ-მდე მოცემული ინფორმაციის- ეკოლოგიური ხარჯ(ებ)ის მნიშვნელობების დამატებითი განმარტებების შესახებ. |
| N6 | წინასაპროექტო ეტაპზე განხილული იქნა ორი ალტერნატიული ვარიანტი: ბუნებრივ წყალსატარებთან მიახლოებული ტიპის თევზსავალები (Close-to-nature types of fish passes); საინჟინრო ტიპის თევზსავალებიდან „გასასვლელი აუზების“ (pool-pass) ტიპის თევზსავალი. როგორც ეს გზშ-ის ანგარიშშია განმარტებული: (pool-pass) თევზსავალის შერჩევა ძირითადად განპირობებული იქნა ზემოქმედებას დაქვემდებარებული მონაკვეთის რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: მდ. ბჟუჟის მარცხენა შენაკადი, ისევე როგორც მდ. ბჟუჟი წარმოდგენილია ვიწრო ხეობით, სადაც სხვა ტიპის, მაგ: ბუნებრივი ტიპის თევზსავალის მოწყობა არა რელევანტურ გადაწყვეტას წარმოადგენს. კერძოდ, როგორც ცნობილია: ბუნებრივი ტიპის თევზსავალის მოწყობისათვის საჭიროა რომ მდინარეს, თევზსავალის მოწყობის ადგილზე, |

| | |
|-----|--|
| | <p>ჰქონდეს საკმაო სიგანის და წყნარი რელიეფის მქონე მდგრადი სანაპირო ტერასა, რომელიც ბუნებრივად დაცულია წყალდიდობების ზეგავლენისაგან. ე.წ საინჟინრო ტიპის თევზსავალი (Pool passes) საუკეთესო გადაწყვეტას წარმოადგენს, რომელიც უფრო მარტივად შეიძლება განთავსდეს მდინარის ვიწრო ხეობაში, და სანაპირო ტერასების მცირე სიგანის პირობებში უკეთესად იქნება დაცული მდინარის ნაკადისაგან. შერჩეული თევზსავალი (საფეხურებიანი თევზსავალი) არის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკაში აპრობირებული ინფრასტრუქტურული ერთეული და გამოყენებულია საქართველოში განხორციელებულ მრავალ ანალოგიური ტიპის პროექტებზე.</p> |
| N7 | <p>გვ 60-ზე მოცემული ინფორმაცია თქვენს მიერ არ არის სრულყოფილად ინტერპრეტირებული. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მოცემულ ეტაპზე განსაზღვრული პროექტი არ ითვალისწინებს მისასვლელი გზების გაყვანას ან/და აღდგენას. პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება, როგორც შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზა (ს/კ:26.33.23.189), ისე ჰესებთან' მისასვლელი არსებული (მოქმედი) გზები. შესაბამისად მისასვლელი გზების მოწყობით გარემოზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.</p> |
| N8 | <p>გზმ-ის ანგარიში შინაარსობრივად გამართულად და თანმიმდევრულად აღწერს როგორც არსებული ისე დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლებს. დოკუმენტის სიღრმისეული განხილვის პირობებში, აღნიშნული საკითხების წამოწევა არ იქნებოდა საჭირო. რაც შეეხება ობიექტის გენ-გეგმას, მაღალი გარჩევადობის გენერალური გეგმა წარმოდგენილია N4 დანართის სახით.</p> |
| N9 | <p>შენიშვნა გაუგებარია. შესაბამისად კონკრეტული პასუხის დაფიქსირების საფუძველი არ არსებობს.</p> |
| N10 | <p>იხილეთ გზმ-ის ანგარიშის 53-56 გვ. მოცემული ინფორმაცია ეკოლოგიური ხარჯ(ებ)ის მნიშვნელობების დამატებითი განმარტებების შესახებ.</p> |
| N11 | <p>რამდენადაც თქვენთვის ცნობილია თავდაპირველი პროექტის ეტაპზე გზმ-ის პროცედურის გავლის საჭიროება არ არსებობდა. როგორც უკვე განიმარტა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას.</p> <p>წინადადებაში („ბასრა ჰესების“ და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით ფლორისტულ გარემოზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია.“) იგულისხმება რომ უკვე დამდგარი ზემოქმედების წარმოდგენილი გზმ-ის ფარგლებში განხილვის საფუძველი არ არსებობს. თუმცა მითითებულ წინადადებას ერთვის დამატებითი განმარტებები, რომელიც როგორც ჩანს შენიშვნის ავტორისთვის არ აღმოჩნდა ხელსაყრელი, ვინაიდან შენიშვნა რელევანტურობას დაკარგავდა. კერძოდ, გზმ-ის ანგარიშში განმარტებულია რომ „ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო: ●ტერიტორიების მკაფიო დემარკაცია და ბუფერული ზონის საზღვრების მკაცრი დაცვა; ●ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება განხორციელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე; ●ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მონაკვეთში, მცენარეული საფარი მოიხსნა ხელით და აღნიშნული მიზნით გადაწვის მეთოდი ან ბულდოზერები გამოყენებული არ ყოფილა. „ბასრა ჰესების“ ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ერთეულების, მათ შორის მისასვლელი გზების სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ზემოქმედებას დაქვემდებარა ძირითადად ქვეტყის წარმომადგენლები, მათ შორის - შქერი (Rhododendron ponticum).</p> |

| | |
|-----|---|
| N12 | <p>გზშ-ის ანგარიშიდან წინადადება არ არის სრულყოფილად ინტერპრეტირებული. სრულყოფილი განმარტების მიხედვით: „ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო: ●ტერიტორიების მკაფიო დემარკაცია და ბუფერული ზონის საზღვრების მკაცრი დაცვა; ●ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება განხორციელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე; ●ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მონაკვეთში, მცენარეული საფარი მოიხსნა ხელით და აღნიშნული მიზნით გადაწვის მეთოდი ან ბულდოზერები გამოყენებული არ ყოფილა. „ბასრა ჰესების” ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ერთეულების, მათ შორის მისასვლელი გზების სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ზემოქმედებას დაექვემდებარა ძირითადად ქვეტყის წარმომადგენლები, მათ შორის - შქერი (Rhododendron ponticum).</p> |
| N13 | <p>როგორც ეს გზშ-ის ანგარიშშია განმარტებულია განსახილველი ტერიტორიის მთლიანად ათვისება გათვალისწინებული არ არის. ხოლო ადგილზე სადაც განთავსებული იქნება საპროექტო ინფრასტრუქტურა ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების საჭიროება არ არსებობს. ამასთან, გზშ-ის ფარგლებში მკვლევართა ჯგუფმა იხელმძღვანელა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შესაბამისად არა ტერიტორიის რუკაზე შესწავლის შესაბამისად.</p> |
| N14 | <p>დარგის ექსპერტებისთვის ცნობილია, რომ საკაბელო ხაზის გაყვანა ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებას ან/და მათ გადაბეღვას არ საჭიროებს. დამატებით განვიმარტავთ რომ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი წარმოდგენს - ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემისათვის/ გადატანისათვის განკუთვნილ იზოლირებულ სადენს, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე პარალელური შტოსაგან, შეერთებისათვის საჭირო აქსესუარებით (ქუროები, მომჭერები და სხვ).</p> |
| N15 | <p>ჰაბიტატებზე დამდგარი ზემოქმედების ინტერპრეტირების მიზნით წარმოდგენილია სათანადო ინფორმაცია რუკასთან ერთად.</p> |
| N16 | <p>განმარტებულია რომ ზემოქმედება რა თქმა უნდა დადგა, თუმცა არა მნიშვნელოვანი ზემოქმედება. მაგალითად ზემოქმედებას დაექვემდებარა ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეების ჰაბიტატი G1.12 - უბრალოდ ტექსტში ნახსენებია რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ მომხდარა. ჰაბიტატებზე დამდგარი ზემოქმედების ინტერპრეტირების მიზნით წარმოდგენილია სათანადო ინფორმაცია რუკასთან ერთად. გზშ-ის ანგარიშში ასევე განმარტებულია რომ „ძირითადი ზემოქმედება მისასვლელი გზების მოწყობას მოჰყვება, თუმცა აღსანიშნავია რომ მისასვლელი გზებისთვის არ მომხდარა მასშტაბური ტერიტორიების ათვისება. ძირითად ზემოქმედებას ქვეტყე დაექვემდებარა. ამ ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში ზემოქმედების ზონაში ხვდება G1.6 ჰაბიტატი, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მოცემული ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით უკვე სახეცვლილია (იხ. სურათი), ამასთან აღსანიშნავია რომ ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას. რაც შეეხება საგენერატორო (ჰესის) შენობებში მაღალი სიმძლავრის ტურბინების მოწყობას, ამ მხრივ ჰაბიტატებზე დამატებითი ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს”.</p> |
| N17 | <p>დიახ ჰქონდა შენიშვნის ავტორის მიერ მოყვანილი ტექსტიდან გასაუხობთ: „ძირითადი ზემოქმედება მისასვლელი გზების მოწყობას მოჰყვება”.</p> |
| N18 | <p>იხილეთ სურათი N13.</p> |
| N19 | <p>შესაბამისი ცხრილის სახით წარმოდგენილია საველე მონაცემების და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ზემოქმედების ზონაში შესაძლოა გავრცელებული ძუძუმწოვრების შემდეგი სახეობების შესახებ ინფორმაცია. თუმცა</p> |

| | |
|-----|--|
| | როგორც უკვე განიმარტა საველე კვლევ(ებ)ის ფარგლებში ძუძუმწოვრების ზემოქმედებას დაქვემდებარებულ არეალში ან/და მის უშუალო სიახლოვეს არ დაფიქსირებულა, რაც შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო უკვე დამდგარი ზემოქმედებით. უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საკვლევი ზონა ახალი ათვისებულია და შესაბამისად ასე მალე სახეობების უმეტესობა ვერ შეძლებდა პირვანდელ საარსებო გარემოში დაბრუნებას. |
| N20 | კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ფაუნის წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია, ფოტომასალასთან ერთად წარმოდგენილია გზმ-ის ანგარიშში. დოკუმენტის სიღრმისეულად შესწავლა, ვფიქრობთ ექსპერტს მსგავსი დაუსაბუთებელი შენიშვნების მოწერას აარიდებდა თავიდან. |
| N21 | შენიშვნა პრაგმატულია და ემსახურება ამბის გადმოცემას, შესაბამისი გარემოებების აღწერა-დასაბუთების გარეშე. გზმ-ის ანგარიშში შესაბამისი დარგის ექსპერტის მიერ განხილულია ძირითადი მიზეზები რატომ არ ფიქსირდება საკვლევ ზონაში წავის არსებობა, კერძოდ: „როგორც მდ. ბჟუჟი, ისე მისი შენაკადები (მათ შორის ზემოქმედების არეალები) ხასიათდება საკმაოდ ვიწრო კლდოვანი ხეობებით, რაც წავისთვის არ წარმოადგენს მიმზიდველ გარემოს (კლოდვან ნაპირს ვერ იყენებს საბინადროდ) და შესაბამისად მათი ბუნაგისთვის ასეთი ტიპის რელიეფური სტრუქტურა არახელსაყრელია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მდინარე ბჟუჟის ზედა ბიეფში („ბასრა ჰესების“ საკვლევ ზონაში) წავის ასვლის ალბათობას ართულებს/ამცირებს „ბჟუჟჰესის“ კაშხალი, რომლის გამოც შეიძლება ითქვას ჰაბიტატი გარკვეულწილად ფრაგმენტირებულია“. |
| N22 | გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, გურიაში ძუძუმწოვრების სახეობათა რაოდენობა 60-მდეა. ხსენებული რიცხვიდან სახეობების საკმაოდ დიდი ნაწილი კოლხეთის დაბლობისთვისაა დამახასიათებელი. ამ ეტაპზე რაც შეიძლება ითქვას ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე საკვლევ ტერიტორიაზე შემთხვევითად მაინც შესაძლოა დაფიქსირდეს 32 სახეობის ძუძუმწოვარი, აქედან 8 სახეობის ხელფრთიანია (იხ. ცხრილი N33 და N34). ამასთან აღსანიშნავია რომ შენიშვნა კვლავ პრაგმატულია და ემსახურება ამბის გადმოცემას, შესაბამისი გარემოებების აღწერა-დასაბუთების გარეშე. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით: „ძალიან ცუდ მდომარეობაშია სუბალპური ზონა - აქ ანთროპოგენული გავლენა ძირითადად საუკუნეების განმავლობაში საძოვრების გადამოვაში გამოიხატება. ამიტომ სუბალპურ მაღალბალახოვნებას აქ არ ვხვდებით, ბალახი მხოლოდ ალაგ-ალაგ აღწევს 15-20 სმ სიმაღლეს. ამიტომ ეს ტერიტორიები საკმაოდ ღარიბია ძუძუმწოვრების მხრივ. ასევე შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი არეალის - მდ. ბჟუჟას ხეობის რელიეფური პირობებიდან (ციცაბო ფერდობები) გამომდინარე ტყის ჰაბიტატიც ნაკლებად გამოირჩევა ფაუნისტურ სახეობათა მრავალფეროვნებით და სიხშირით“. |
| N23 | შენიშვნა კვლავ ემსახურება მხოლოდ ამბის გადმოცემას, შესაბამისი გარემოებების აღწერა-დასაბუთების გარეშე. შენიშვნაში მოცემული წინადადება („ტყის ჰაბიტატიც ნაკლებად გამოირჩევა ფაუნისტურ სახეობათა მრავალფეროვნებით და სიხშირით.“) არ არის სრული, ხოლო სრულად ასე გამოიყურება: „მდ. ბჟუჟას ხეობის რელიეფური პირობებიდან (ციცაბო ფერდობები) გამომდინარე ტყის ჰაბიტატიც ნაკლებად გამოირჩევა ფაუნისტურ სახეობათა მრავალფეროვნებით და სიხშირით“. |
| N24 | აღნიშნულის პასუხად იხილეთ N19-N20-N21-N22-N23 შენიშვნებზე გაკეთებული განმარტებები. |
| N25 | სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არ დაფიქსირებულან კვლევების დროს. ამის მიზეზები განმარტებულია გზმ-ის ანგარიშში, მათ შორის: „ღამურებისათვის ხელსაყრელი ჰაბიტატები ნაკლებად გვხვდება, მათ შორის: იშვიათია მწიფე/გადაბერებული |

| | |
|-----|---|
| | ხეები; არ გხვდება მიტოვებული შენობები, სადაც დაიდებდნენ ბინას; ასევე ნაკლებადაა წარმოდგენილი მათთვის საბინადროდ ხელსაყრელი კლდის მასივები. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ, ცხრილში მოყვანილი სახეობები საკვლევ რეგიონში ბინადრობენ, მაგრამ განსახილველი ზონისგან მოშორებით, იქ სადაც მათთვის ხელსაყრელი ზემოთხსენებული პირობებია წარმოდგენილი.“ |
| N26 | მოცემულობა ასეთია, არაა საცხოვრებლად ვარგისი გარემო. ის სახეობები რაც ცხრილშია მოცემული შესაძლოა შემთხვევითად მოხვდნენ საპროექტო ტერიტორიაზე, მაგრამ მათზე გავლენა იქნება მინიმალური. შენიშვნის პასუხს თავად განმარტავს შენიშვნის ავტორი გზშ-ის ანგარიშში მოყვანილი ჩანაწერიდან. |
| N27 | საკვლევ ზონაში დაფიქსირებული ორნითოფაუნის წარმომადგენლები ასახულია შესაბამის ფოტომასალაზე (იხ. N15 სურათიდან N22 სურათამდე). შენიშვნის მიზანი გზშ-ის ავტორების პროფესიონალიზმის ექვემდებარებაა, რაც თავად დარგის არა-სპეციალისტის მხრიდან მიუღებელია. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია კვლევის დროს დაფიქსირებული ორნითოფაუნის სახეობები. |
| N28 | საკვლევ ზონაში დაფიქსირებული ორნითოფაუნის წარმომადგენლები ასახულია შესაბამის ფოტომასალაზე (იხ. N15 სურათიდან N22 სურათამდე). შენიშვნის მიზანი გზშ-ის ავტორების პროფესიონალიზმის ექვემდებარებაა, რაც თავად დარგის არა-სპეციალისტის მხრიდან მიუღებელია. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია კვლევის დროს დაფიქსირებული ორნითოფაუნის სახეობები. |
| N29 | საკვლევ ზონაში დაფიქსირებული და არსებული ორნითოფაუნის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამისი ცხრილებისა და ფოტომასალის სახით. შენიშვნის მიზანი გზშ-ის ავტორების პროფესიონალიზმის ექვემდებარებაა, რაც თავად დარგის არა-სპეციალისტის მხრიდან მიუღებელია. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია კვლევის დროს დაფიქსირებული ორნითოფაუნის სახეობები. |
| N30 | როგორც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტობრივი რეალობაა (იხ. შესაბამისი რუკები) რომ „განსახილველი ზონა არ ხვდება საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიებზე (SPA) ან/და მის უშუალო სიახლოვეს“ ასევე საკვლევ ტერიტორია არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილ ფრინველთა სამიგრაციო დერეფანში ან/და მის უშუალო სიახლოვეს. |
| N31 | ფაქტობრივი რეალობაა რომ სხვა რეგიონებთან შედარებით, საკვლევ ტერიტორიები ღარიბია სახეობათა მრავალფეროვნებით, მათ შორის როგორც განიმარტა საკვლევ რაიონის ტერიტორიაზე მობინადრე ქვეწარმავლები დიდი მრავალფეროვნებით არ ხასიათდებიან. კვლევის შედეგები ასახულია შესაბამის ქვეთავში. |
| N32 | შესაძლოა სამომავლოდ ბოხეჭამ გაიფართოვოს არეალი და შეძლოს ამ ტერიტორიების ათვისება, თუმცა ახლა ნამდვილად არაა ოპტიმალური საბინადრო პირობები საკვლევ ზონაში. |
| N33 | ჩატარებული სავალე კვლევების ფარგლებში დაფიქსირებული სახეობების პოპულაცია უმეტესად წარმოდგენილი იყო სამხრეთი ნათელ (კლდოვან) ფერდობებზე, ხეობის ქვედა წელში, რომელიც არ ხვდება უშუალოდ პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პოპულაციისათვის დამახასიათებელი ადგილების მიახლოებითი კოორდინატებია: X-260336, Y-4638182; X 260352, Y-4636746. |
| N34 | მიუხედავად დამდგარი ზემოქმედებისა (რომელიც ძირითად განპირობებული იყო გზშ-ის გაყვანით) საბინადრო გარემო შენარჩუნებულია და ოპტიმალურია საარსებოდ. მათი ბუნებრივი გარემოდან - ზემოქმედების ზონისკენ არსებულ |

| | |
|-----|--|
| | კლდეებზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ახალგაზრდა ინდივიდი, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმატებით გაიფართოვეს არეალი და ის რაოდენობა რაც წარმოდგენილი იყო კლდეებზე არის ოპტიმალური, რადგან ამ რაოდენობაზე მეტს არ ექნებოდა საკმარისი თავშესაფარი და საკვები ბაზა, რადგან ეს ტერიტორიები ასე ვთქვათ ახალი ჰაბიტატია მათთვის. |
| N35 | დოკუმენტში წერია: უშუალოდ „ბასრა ჰესების“ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში შემჩნეული არ ყოფილა, მათ შორის ჩვეულებრივი ანკარას ინდივიდი დაფიქსირებული იქნა „ბასრა 3“ ჰესის შენობის ქვედა ბიეფში. „ბასრა 3“ ჰესის შენობის ქვედა ბიეფი არ წარმოადგენს ბასრა ჰესების ზემოქმედების არეალს. მსგავსი ტიპის შენიშვნების მომზადებისათვის, დოკუმენტაციის უფრო სიღრმისეული შესწავლა და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციაა საჭირო. |
| N36 | დამატებითი განმარტება შენიშვნის ავტორისთვის: ანგარიშში მითითებულია რომ მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, კერძოდ მცირედით შეცვლილ ჰაბიტატზე სპილენძას მისი კოსმოპოლიტური ხასიათის გამო პრობლემა არ აქვს. სიტყვა „კოსმოპოლიტურის“ ბიოლოგიური განმარტება: „მცენარე ან ცხოველი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული დედამიწის ზურგზე“. |
| N37 | არ დაფიქსირებულა თუმცა ტექსტში ნახსენებია რომ „პოტენციური ჰაბიტატია საპროექტო ქვესადგურის განთავსების ზონაში“. გამოვლენის შემთხვევაში სათანადო საკონსერვაციო ქმედებას განახორციელებს დარგის ექსპერტი. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია გზშ-ით განსაზღვრული ბიოლოგიური გარემოს პერმანენტული მონიტორინგი, რომლის ფარგლებში რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები. |
| N38 | გზშ-ის ანგარიშში მოცემული დასკვნები შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ეყრდნობა, როგორც საველე სამუშაოების და ლიტერატურული მონაცემების შესწავლას, ისე პროექტის სპეციფიკური მახასიათებლების გაანალიზებას. |
| N39 | ქვეთავში საუბარია ორ სახეობაზე: ტრიტონზე და კავკასიურ სალამანდრაზე. შენიშვნის ავტორი დიდი ალბათობით გულისხმობს ტრიტონს, რომელიც არ დაფიქსირებულა კვლევის დროს. სალამანდრასთან დაკავშირებით ანგარიშში მოცემულია სხვა განმარტებები. თვალსაჩინოა, რომ შენიშვნის ავტორის მიერ დოკუმენტი არ არის სიღრმისეულად შესწავლილი და გაკეთებულია ზედაპირული დასკვნა. |
| N40 | გზშ-ის ანგარიშში მოცემული დასკვნები შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ეყრდნობა, როგორც საველე სამუშაოების და ლიტერატურული მონაცემების შესწავლას, ისე პროექტის სპეციფიკური მახასიათებლების გაანალიზებას. საველე კვლევის ფარგლებში ადგილზე იქნა შემოწმებული სალამანდრასთვის ვარგისი საცხოვრებელი გარემო, სადაც მითითებული სახეობა მიუხედავად არსებული ზემოქმედებისა ოპტიმალური რაოდენობით იყო წარმოდგენილი. |
| N41 | გზშ-ი ანგარიშში მოცემული დასკვნები ეყრდნობა საკითხის სიღრმისეულ შესწავლას-შეფასებას სათანადო სპეციალისტის მიერ. სპეციალისტის შეფასებით, მათ შორის ადგილზე შესწავლის საფუძველზე, სალამანდრას პოპულაციას საფრთხე არ ემუქრება. ძირითადად შეიძლება ითქვას რომ შენიშვნის მიზანი ბიომრავალფეროვნების მიმართულების კვლევის ავტორის პროფესიონალიზმის ეჭვქვეშ დაყენებაა, რაც თავად დარგის არა-სპეციალისტის მხრიდან მიუღებელია. |
| N42 | შენიშვნის ავტორისთვის რთულად გასაგებია გზშ-ის ფარგლებში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის საჭიროება. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია გზშ-ის მიზანს არა მხოლოდ მოსალოდნელი ზემოქმედების იდენტიფიცირება და მასშტაბების განსაზღვრა, არამედ შესაძლო ზემოქმედების მართვის ღონისძიებების სწორად დაგეგმვა და პრევენტირება წარმოადგენს. |

| | |
|-----|--|
| N43 | გზმ ანგარიშში მოცემული დასკვნები ეყრდნობა საკითხის სიღრმისეულ შესწავლა-შეფასებას სათანადო სპეციალისტის მიერ. გზმ-ის ანგარიშში მოცემული დასკვნები შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ეყრდნობა, როგორც სავლეს სამუშაოების და ლიტერატურული მონაცემების შესწავლას, ისე პროექტის სპეციფიკური მახასიათებლების გაანალიზებას. |
| N44 | გზმ ანგარიშში მოცემული დასკვნები ეყრდნობა საკითხის სიღრმისეულ შესწავლა-შეფასებას სათანადო სპეციალისტის მიერ. გზმ-ის ანგარიშში მოცემული დასკვნები შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ეყრდნობა, როგორც სავლეს სამუშაოების და ლიტერატურული მონაცემების შესწავლას, ისე პროექტის სპეციფიკური მახასიათებლების გაანალიზებას. |
| N45 | გზმ-ის ანგარიშიდან წინადადება არ არის სრულყოფილად ინტერპრეტირებული. სრულყოფილი განმარტების მიხედვით: „საკვლევ ტერიტორიაზე ჭაობის ბაყაყი (<i>P. ridibundus</i>) შესაძლებელია შეგვხვდეს თითქმის ყველა დროებით გუბურაში. მას სიხშირით მცირედით ჩამორჩება მცირეაზიური ბაყაყი (<i>R. macrocnemis</i>).“ |
| N46 | გზმ-ის ანგარიშში მე-8 თავის სახით წარმოდგენილია იქთიოლოგიური კვლევის სრულყოფილი ანგარიში (გთხოვთ იხილოთ კვლევის შედეგები მითითებულ მე-8 თავში (გვ 121)) |
| N47 | რამდენადაც თქვენთვის ცნობილია 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს (არ საჭიროებდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოწყობა განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გარეშე. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ეს გზმ-ის ანგარიშშია განმარტებული ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო მშრალ კალაპოტში მუშაობა და დროებით კალაპოტში დინების მუდმივი ნაკადის შენარჩუნება, ამასთან დაცული იყო სანიტარული პირობები და გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები. |
| N48 | ყველა საკვლევ ტერიტორიაზე სადაც თევზი დაფიქსირდა აღნიშნულია ანგარიშში. საპროექტო ტერიტორიაზე მხოლოდ კალმახია გავრცელებული და „თევზში“ შესაბამისად იგულისხმება „კალმახი“. |
| N49 | რამდენადაც თქვენთვის ცნობილია 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს (არ საჭიროებდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ეს გზმ-ის ანგარიშშია განმარტებული ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო მშრალ კალაპოტში მუშაობა და დროებით კალაპოტში დინების მუდმივი ნაკადის შენარჩუნება, ამასთან დაცული იყო სანიტარული პირობები და გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები. |
| N50 | ჰიდროტექნიკური ნაგებობის გადაღებას იქტიოფაუნის კვლევასთან არანაირი კავშირი არ აქვს. „ბასრა 2“-ის ზონაში ჩატარებული კვლევის შედეგები ასახულია ანგარიშში. |
| N51 | ბუნებრივია, გარკვეული სახეობები წითელ ნუსხაში ხვდებიან, რაც ძირითადად ადამიანის სხვადასხვა საქმიანობითაა გამოწვეული. მათ შორის ჰესების მშენებლობა რა თქმა უნდა გავლენას ახდენს კონკრეტული სახეობების პოპულაციებზე. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შესაძლო ზემოქმედების მართვის მიზანმიმართული ღონისძიებების დაგეგმვა წარმოადგენს. |
| N52 | „ექსპლუატაციის პირობების და წარმადობის გაზრდის“ არგუმენტაცია, არ ყოფილა გზმ-ის წარდგენის საფუძველი. გთხოვთ უფრო დეტალურად განიხილოთ გზმ ანგარიშის მე-2 თავი. ამასთან როგორც გზმ-ის ანგარიშშია განმარტებული ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჰესების ინფრასტრუქტურული ერთეულების/ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციის სამუშაოები არ საჭიროებდა გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების გავლას შპს „პარვუს ბასრამ“ |

| | |
|-----|---|
| | უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მოცემულ ეტაპზე, არსებული სქემით, ოთხივე ჰესის მოწყობით სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. |
| N53 | ფაქტია რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული კვლევის ფარგლებში, შერჩეულ საკვლევ წერტილებში, იქტიოფაუნის მხოლოდ 1 სახეობა დაფიქსირდა. ეს ფაქტია აღნიშნული კვლევაში არა როგორც დადებითი დასკვნის წარმოსაჩენად არამედ როგორც არსებული რეალობის განსამართლად. |
| N54 | ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. |
| N55 | დათევზიანება ერთ-ერთი ეფექტური ღონისძიებაა თევზის პოპულაციების აღსადგენად. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს კალმახის აღდგენის პროგრამები. ამ მიზნით ხდება მდინარეების დათევზიანება კალმახის ლიფსიტებით ან განაყოფიერებული ქვირითით (თვალეზის სტადიაზე). აღნიშნული ღონისძიების წარმატების ალბათობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის სამიზნე სახეობის სწორად შერჩევაზე და დასათევზიანებელი ჰაბიტატების მდგომარეობაზე. საქართველოს მაგალითზე, ერთ-ერთ შერჩეულია მდინარე ალგეთი (ალგეთის ეროვნული პარკი), სადაც ყოველ წელს ხდება კალმახით დათევზიანება და მისი მონიტორინგი. კვლევის შედეგების მიხედვით, შეინიშნება მდინარე ალგეთში კალმახის პოპულაციის ზრდა და არეალის გაფართოვება. |
| N56 | ტოვობის პერიოდში (ოქტომბერი-ნოემბერი) ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კალმახისთვის, რადგან მან უნდა შეძლოს საქვირითე არეალამდე მიღწევა და გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯი მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ პროცესში. |
| N57 | რამდენადაც თქვენთვის ცნობილია 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს (არ საჭიროებდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. ხოლო ფაქტობრივი რეალობიდან გამომდინარე ვინაიდან ჰესების მოწყობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა უკვე დამდგარი ზემოქმედების შეფასება პროექტის განხილვის საგანს არ წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ეს გზშ-ის ანგარიშშია განმარტებული ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო მშრალ კალაპოტში მუშაობა და დროებით კალაპოტში დინების მუდმივი ნაკადის შენარჩუნება, ამასთან დაცული იყო სანიტარული პირობები და გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები. |
| N58 | ჰესების ექსპლუატაციით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების მართვის მიზნით გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. გარემოსდაცვითი ნორმების, მათ შორის იქტიოფაუნის კვლევის ანგარიშში განსაზღვრული რეკომენდაციების დაცვის შემთხვევაში იქტიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირება შეუძლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. |
| N59 | შენიშვნა არ არის რელევანტური. ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, პროექტის ტექნოლოგიური ალტერნატივები და ნულოვანი ალტერნატივა განხილულია გზშ-ის ანგარიშის მე-9 თავში. მათ შორის მითითებულია ზოგადად საქმიანობის ალტერნატივები და შერჩეული ალტერნატივის დასაბუთება. |
| N60 | გზშ-ის ანგარიშში ალტერნატივები გაანალიზებულია მოცემულ ეტაპზე დაგეგმილი პროექტისთვის და არა უკვე განხორციელებული საქმიანობისთვის რომელიც (არაერთხელ აღინიშნა რომ) კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლას არ საჭიროებდა. არსებული ობიექტების როგორც ტერიტორიული ისე ტექნოლოგიური |

| | |
|-----|---|
| | <p>ალტერნატივების განხილვა ცალსახად არარელევანტურია, თუმცა კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ალტერნატიული ვარიანტების შეფასება განხორციელდა ამ ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობისათვის.</p> |
| N61 | <p>ალტერნატიული ტერიტორიების დადგენა შესაძლებელია როგორც ანგარიშში მითითებული GPS კოორდინატებით ისე წარმოდგენილი რუკით. იმისთვის რომ კოორდინატებით მოძებნოთ ტერიტორია საჭიროა გეო-საინფორმაციო სისტემების ცოდნა.</p> |
| N62 | <p>უმოქმედობის ანუ ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით ან/და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით.</p> <p>გზმ ანგარიშში მითითებულია რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკვლევი ობიექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში უმოქმედობის ალტერნატივად განხილული იქნა „ბასრა ჰესებისთვის“ დადგმული სიმძლავრის გაზრდაზე უარის თქმის ალტერნატივა. არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, რაც გამორიცხავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელ შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებს. თუმცა აღნიშნულის საპირწონედ გზმ-ის ანგარიშში განმარტებულია რომ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შესაბამისად: „ბასრა ჰესებისთვის“ დადგმული სიმძლავრის გაზრდა დაკავშირებული არ არის ბუნებრივ ან/და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და პროექტის განხორციელება არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას (გარემოს არსებული მდგომარეობას) მნიშვნელოვნად არ ცვლის. აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშში მოცემულია სათანადო დასაბუთებები (იხ. გვ 133-134). ამასთან, ნულოვანი ალტერნატივის უარყოფა უნდა განხორციელდეს საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების მიზანშეწონილობის დადგენის გზით, რასაც ქვეთავი 9.3 ზედმიწევნით აღწერს.</p> |
| N63 | <p>რამდენადაც თქვენთვის ცნობილია 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს (არ საჭიროებდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.</p> |
| N64 | <p>გზმ-ის შესაბამისად: „ბასრა განსაზღვრულია ასათვისებელი ჰესების“ წყლის სიმძლავრეების დაკორექტირება ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესაძლებლობიდან გამომდინარე, და ძალურ კვანძებში (ჰესის შენობებში) მაღალი გამომუშავების ტურბინების მოწყობის გზით. საკვლევი ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით (იხ. შესაბამისი ქვეთავი) მეტი გამომუშავების მიღწევა შესაძლებელი იყო თავდაპირველ ეტაპზეც, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა პროექტის დაგეგმვის და შემდგომი განვითარების ეტაპზე რეგიონში არ არსებობდა მაღალი ძაბვის ქსელი, სადაც მოხდებოდა წარმოებული ენერჯის გენერაცია”. ეს არის ფაქტობრივი რეალობა რომლის ექვემდებარებას მიზნით N64 შენიშვნის ავტორი სქოლასტიკას მიმართავს და ცდილობს პროექტის განხორციელების საფუძველი წარმოაჩინოს არარეალურ პირობად.</p> <p>შენიშვნის ავტორი, წინა შენიშვნების მსგავსად, ცდილობს სიტყვების არასწორი ინტერპრეტირებით დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, მათ შორის ჩანაწერი „სრულიადვე ავითვისებდით მდინარეების სრულ პოტენციალს“ არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში „საკვლევი ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით (იხ. შესაბამისი ქვეთავი) მეტი გამომუშავების მიღწევა შესაძლებელი იყო თავდაპირველ ეტაპზეც”. გზმ-ის ავტორების მხრიდან არც ჰიდროლოგიური რესურსის სრულ ათვისებაზე არ არის აქცენტი გაკეთებულია და არც</p> |

| | |
|-----|---|
| | გარემოსდაცვითი ხარჯის ცნება არ არის უგულებელყოფილი. განმარტება ეყრდნობა ჰიდროლოგიური ხარჯების მოხმარებას, გარემოსდაცვითი ხარჯების გათვალისწინებით და არა მის გარეშე. |
| N65 | სავარაუდოდ რომ შენიშვნის ავტორი არ ფლობს სათანადო კვალიფიციურ ცოდნას არც ენერგეტიკის დარგში ამიტომაც განმარტება: „სავარაუდოდ, არ შეესაბამება რეალობას” რა გარემოებას და დასაბუთებას ეყრდნობა ბუნდოვანია. ქვეყანაში არსებული მცირე ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის 20%-მდე ბასრა ჰესების მიერ გენერირების ციფრული მნიშვნელობის დასადგენად უნდა მოხდეს შესწავლა არსებული მცირე ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის ხარჯის და მოხდეს კორელაცია ბასრა ჰესების საპროექტო გენერაციასთან. |
| N66 | შენიშვნის ავტორისეული აღქმა ნულოვანი ან არაქმედების ალტერნატივის განხილვის დანიშნულების შესახებ არ შეესაბამება რეალობას. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში აღწერილია, როგორც ნულოვანი ალტერნატივის შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა ისე მისი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი ცვლილებები. გავლებულია პარალელები სხვადასხვა საკვანძო მიმართულებებთან მიმართებაში და გამოტანილია საფუძვლიანი დასკვნები ნულოვანი ალტერნატივის არარელევანტურობასთან დაკავშირებით. |
| N67 | შენიშვნების ავტორი, როგორც წინა შენიშვნებში, ცდილობს გზშ-ის ანგარიშიდან კონკრეტული დაუმთავრებელი წინადადებების წარმოჩენით „დაასაბუთოს” თავის მოსაზრებები. როგორი ინტერპრეტირებაც არ უნდა მისცეს ავტორმა შენიშვნას, ცალსახა მხოლოდ ერთი გარემოებაა: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მიხედვით 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას, შესაბამისად ჰესების მშენებლობა განხორციელდა კოდექსით გათვალისწინებული სანებართვო პროცედურების გარეშე, ხოლო როდესაც დაგეგმილი საპროექტო ღონისძიებების ფარგლებში, კოდექსიდან გამომდინარე სათანადო პროცედურების გავლის საჭიროება დადგა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გზშ-ის დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებით. |
| N68 | კვლავ არასწორ ინტერპრეტირებას მიმართავს შენიშვნის ავტორი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. რეალობა შემდეგია: პროექტის განხორციელებით ზემოქმედება ცალსახად მოსალოდნელია გარემოზე, თუმცა როგორც გზშ-ის კვლევებმა აჩვენა დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლებისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც - „მნიშვნელოვანი“, რომლის შერბილება ან/და პრევენცია შეუძლებელია“. იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელი ზემოქმედების მართვა შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარდაუვალი გზშ-ის ანგარიშის შემუშავება აზრს დაკარგავდა. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია გზშ-ის პროცედურის მიზანს შესაძლო ზემოქმედების ანალიზის გარდა სწორი და მიზანმიმართული გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა წარმოადგენს. თუ მოსალოდნელი ზემოქმედების მართვა შეუძლებელია საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ გაიცემა. |
| N69 | "სააგრეგატო (ჰესის) შენობებში ტურბინების სამონტაჟო სამუშაოების შედეგად ხმაურის (45-55 დბ) გავრცელებით გარემოზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს, ვინაიდან სამუშაოები განხორციელდება დახურულ შენობაში და ითვალისწინებს მხოლოდ დანადგარების აწყობით-სამონტაჟო ღონისძიებების განხორციელებას". აქ საუბარია მშენებლობის ეტაპთან და არა ექსპლუატაციის პროცესთან. |
| N70 | „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მიხედვით 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა არ საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას, შესაბამისად ჰესების მშენებლობა განხორციელდა კოდექსით |

| | |
|-----|---|
| | <p>გათვალისწინებული გზშ-ს პროცედურების გარეშე, ხოლო როდესაც დაგეგმილი საპროექტო ღონისძიებების ფარგლებში, კოდექსიდან გამომდინარე სათანადო პროცედურების გავლის საჭიროება დადგა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გზშ-ის დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებით.</p> |
| N71 | <p>ვეთანხმებით შენიშვნის ავტორს რომ ჰესების უდიდესი ზემოქმედება საქმიანობის/ოპერირების ეტაპზე სწორედაც რომ წყლის ეკოსისტემებზე და რესურსებზე მოდის. ამიტომ გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში (იხ. 10.3) განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ჰესების ექსპლუატაციით წყლის ეკოსისტემებზე და რესურსებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას. განმარტება რომ „განსაზღვრული რაოდენობით წყლის ხარჯ(ებ)ის ათვისება დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტის შესაძლებლობიდან გამომდინარე (ეკოლოგიური ხარჯის გათვალისწინებით) და პროექტის განხორციელებით (გამომუშავების სიმძლავრების გაზრდით) წყლის რესურსის გადაჭარბებული მოხმარება მოსალოდნელი არ არის” არ გამორიცხავს მოსალოდნელ ზემოქმედებას, უბრალოდ ხაზს უსვამს მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობას და იმ ფაქტს რომ რესურსის გადაჭარბებული მოხმარება არ ხდება, მათ შორის დაცულია გარემოსდაცვითი ხარჯები.</p> |
| N72 | <p>შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების ანალიზი წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის 10.12 ქვეთავში.</p> |
| N73 | <p>შენიშვნის ავტორის თქმით „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენას ითხოვს კოდექსი”. აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენთვის უცნობია რომელი კოდექსშია გაწერილი მოთხოვნა „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენასთან დაკავშირებით”. განსახილველი პროექტების ფარგლებში ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშება განხორციელდა ქვეყანაში მიღებული სტანდარტის შესაბამისად, რომლის მიხედვით ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განსაზღვრულია მრავალწლიანი საშუალო ხარჯის 10%. „ეკოლოგიურ ხარჯად ითვლება წყლის ის რაოდენობა, რომელიც მუდმივად უნდა მიედინებოდეს კალაპოტში მდინარის ეკოსისტემის შესანარჩუნებლად. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს რაიმე ნორმატივი რომელიც განსაზღვრავს სანიტარულ ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების წესს, ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას გამოიყენება გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საშუალო მინიმალური ჩამონადენის 10% დატოვებას მდინარის კალაპოტში, ან ხარჯს საშუალო წლიური ჩამონადენის 90-99% უზრუნველყოფის სიდიდეებს შორის” (საცნობარო: „მდინარის სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია”; ვაჟა ტრაპაიძე1, დავით კერესელიძე1, კახაბერ ბილაშვილი1, გიორგი ბრეგვაძე1).</p> <p>კიდევ ერთხელ განმარტავთ რომ სიმძლავრეების გაზრდის პროექტის ფარგლებში ეკოლოგიური ხარჯის უგულებელყოფა არ მომხდარა. იხ. ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში.</p> |
| N74 | <p>კიდევ ერთხელ განვმარტავთ: „ექსპლუატაციის პირობების ცვლილება“ არ ყოფილა გზშ-ის წარდგენის საფუძველი. როგორც გზშ-ის ანგარიშშია განმარტებული ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჰესების ინფრასტრუქტურული ერთეულების/ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციის სამუშაოები არ საჭიროებდა გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების გავლას შპს „პარვეუს ბასრამ“ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მოცემულ ეტაპზე, არსებული სქემით, ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ხოლო ვინაიდან დაიგეგმა სიმძლავრეების გაზრდა და საერთო ქსელზე მიერთების მიზნით 110 კვ ქვესადგურის მოწყობა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გზშ-ის ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით.</p> |

| | |
|-----|--|
| N75 | აღნიშნულის საპასუხოდ იხილეთ წინა და მრავალი სხვა მსგავსი განმარტებები. |
| N76 | აღნიშნულის საპასუხოდ იხილეთ წინა და მრავალი სხვა მსგავსი განმარტებები. |
| N77 | აღნიშნულის საპასუხოდ იხილეთ წინა და მრავალი სხვა მსგავსი განმარტებები. |
| N78 | როგორც ჩანს შენიშვნის ავტორს გზშ-ის ანგარიშში გამორჩა წაეკითხა ჩანაწერები, როგორცაა მაგალითად: „განსაზღვრული ღონისძიებების (საგენერატორო (ჰესის) შენობებში დამატებით ტურბინების მოწყობა; 74 მეტრის სიგრძის 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის გაყვანა და; 110 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის განთავსება) ფარგლებში დაგეგმილი არ არის ხე მცენარეები გარემოდან ამოღება, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ფრინველთა ჰაბიტატების დეგრადირება/განადგურებასთან.“; „ უშულოდ ქვესადგურისა და საკაბელო ეგხ-ის განთავსების ადგილი ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია. ირიბი სახის ზემოქმედება ორნითოფაუნზე შესაძლებელია დაკავშირებული იყოს 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის და 110 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობითი სამუშაოების დროს, ორნითოფაუნის სახეობების დაფრთხობა-შემფოთებასა და ლოკალურ მიგრაციასთან, რაც დროებით ხასიათს ატარებს (3 თვე) და არ ხასიათდება შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების პროვოცირებით.“ |
| N79 | ქვეწარმავლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეფასებულია 158-159 გვერდებზე, რისი აღქმაც შენიშვნის ავტორის მხრიდან ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ვერ ან არ მოხდა. |
| N80 | ნამდვილად, „ბასრა ჰესების“ სამშენებლო სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია, შესაბამისად ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების მოწყობით ამფიბიებზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო მშრალ კალაპოტში მუშაობა და დროებით კალაპოტში დინების მუდმივი ნაკადის შენარჩუნება. ვინაიდან უკვე შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ფაქტობრივ საჭიროებას მოკლებულია გზშ-ის ანგარიში ყურადღებას ამახვილებს მოცემულ ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებებით და ჰესების შემდგომი ექსპლუატაციით ამფიბიებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე. |
| N81 | თავდაპირველ პროექტთან მიმართებაში მოსალოდნელი ზემოქმედება რომ იზრდება ეს ცალსახაა, ამიტომაც შემუშავდა გზშ-ის დოკუმენტაცია და ამ მიზნით განისაზღვრა შესაძლო ზემოქმედების მართვის ღონისძიებები. შესაბამისად შენიშვნის შინაარსი გაუგებარია, მითუმეტეს იმის ფონზე რომ მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ჰესების გაზრდილი სიმძლავრეების გათვალისწინებით. |
| N82 | თავდაპირველ პროექტთან მიმართებაში მოსალოდნელი ზემოქმედება რომ იზრდება ეს ცალსახაა, ამიტომაც შემუშავდა გზშ-ის დოკუმენტაცია და ამ მიზნით განისაზღვრა შესაძლო ზემოქმედების მართვის ღონისძიებები. შესაბამისად შენიშვნის შინაარსი გაუგებარია, მითუმეტეს იმის ფონზე რომ მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ჰესების გაზრდილი სიმძლავრეების გათვალისწინებით. |
| N83 | კვარტალური მონიტორინგი განსაზღვრულია. გთხოვთ უფრო სიღრმისეულად შეისწავლოთ გზშ-ის დოკუმენტი და მათ შორის იხილოთ გზშ-ის ანგარიში გვ 209. |
| N84 | შენიშვნის ავტორი კვლავ უხეშად ცდილობს გზშ-ის ანგარიშიდან კონკრეტული წინადადებების უშინაარსოდ ამოღებას და საკუთარი ინტერპრეტაციების მიცემას. |

| | |
|-----|--|
| | <p>არასწორია: „...სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად „ბასრა ჰესების” და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით ფლორისტული გარემოზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია.“</p> <p>სწორია: „როგორც უკვე განიმარტა „ბასრა ჰესების” ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ერთეულების, მათ შორის მისასვლელი გზების და საკაბელო ქსელის გაყვანის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, შესაბამისად „ბასრა ჰესების” და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით ფლორისტულ გარემოზე ზემოქმედების შეფასება საფუძველს მოკლებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო შემდეგი: ●ტერიტორიების მკაფიო დემარკაცია და ბუფერული ზონის საზღვრების დაცვა; ●ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება განხორციელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე; ●ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მონაკვეთში, მცენარეული საფარი მოიხსნა ხელით და აღნიშნული მიზნით გადაწვის მეთოდი ან ბულდოზერები გამოყენებული არ ყოფილა. „ბასრა ჰესების” ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ერთეულების, მათ შორის მისასვლელი გზების სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ზემოქმედებას დაქვემდებარა ძირითადად ქვეტყის წარმომადგენლები, მათ შორის - შქერი (<i>Rhododendron ponticum</i>).”</p> |
| N85 | <p>საკვლევ არეალში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. აღნიშნული დასტურდება როგორც ადგილზე განხორციელებული საველე კამერალური დაკვირვებით ისე გზშ-ის ანგარიშში მითითებული ფოტომასალით.</p> |
| N86 | <p>გზშ-ის ანგარიშში ყველა ფაქტობრივი მდგომარეობა აღიარებულია და არაფერი არ არის დამალული. ამის მოლოდინი ალბათ შენიშვნების შემდგენელს არ ჰქონდა თუმცა ეს ასეა. რაც შეეხება გეოლოგიურ გარემოს კვლავ კონტექსტიდან უხეშად ამოღებული წინადადებებით ცდილობს შენიშვნის ავტორი საკუთარი მოსაზრებების გამყარებას. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით: „ბასრა ჰესების დერეფანში შესაძლო გეოდინამიკური პროცესების განვითარების პრევენციის და შემდგომი მართვის მიზნით შესაბამის უზნებზე მოწყობილია ფერდობის დამცავი საშუალებები, მაგ: ლითონის დამცავი ბადეები - იხ. სურათები. თითოეული ჰესისთვის შემუშავებულია დამოუკიდებელი საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევის ანგარიში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა „ბასრა ჰესების” მოწყობის სამუშაოები.”</p> <p>კვლავინდებურად გაურკვეველია შენიშვნის ავტორისეული კოდექსის ინტერპრეტაცია. მათ შორის ინტერპრეტებული გარემოსდაცვითი ნებართვა რომელიც ავტორისვე თქმით 2026 წელს ამოქმედდება არანაირ კავშირში არაა განსახილველ პროექტთან მიმართებაში. იგივე შეიძლება ითქვას კოდექსის II თავის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტთან მიმართებაში.</p> |
| N87 | <p>სათავე კვანძებიდან მდინარის ბუნებრივ კალაპოტში წყლის ეკოლოგიური ხარჯის მუდმივი შენარჩუნება ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში მიკროკლიმატზე შესაძლო უარყოფითი გავლენის ძირითადი პრევენციული ღონისძიებაა. სხვა ჰიდროტექნიკური ობიექტების მაგალითების კონკრეტულ პროექტთან შედარება, თუნდაც ზედაპირული კვლევების ან/და სტატისტიკური ანალიზის გარეშე, მხოლოდ ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით, მიუღებელია.</p> |
| N88 | <p>კონკრეტულად ბასრა ჰესების საპროექტო ზონაში, ე.წ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში, წყალმოსარგებლები არ გვხვდება, ასევე საკვლევი ტერიტორია (მდ. ბჟუჟას ხეობა) არ წარმოადგენს სოციალური მნიშვნელობის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას ან/და კულტურულ ღირსშესანიშნავობას. უშუალოდ საკვლევ ზონაში ტურისტული აქტივობები არ შეიმჩნევა. (იხ. დანართი)</p> |

| | |
|-----|--|
| N89 | <p>სათავე კვანძებთან შექმნილი მცირე ზომის და მოცულობის შეტბორვა პრაქტიკულად არ სცდება მდინარის ბუნებრივ კალაპოტს. სათავე კვანძებზე შექმნილი შეტბორვის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გზშ-ის ანგარიშში, თითოეული ჰესის აღწერით ქვეთავებში (3.1; 3.2; 3.3; 3.4). შეტბორვის კონტურები შეგიძლიათ იხილოთ ასევე წარმოდგენილ ელექტრონულ (Shp) ფაილებში. სათავე კვანძების მდინარის კალაპოტში არსებობა ცალსახად წარმოადგენს წყალმოვარდნების ეფექტურ მარეგულირებელ „ბერკეტს“, ვინიდან მაქსიმალური ხარჯების მოსვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მძლავრი ნაკადისთვის სიჩქარის შემცირება და მდინარის ქვედა ბიეფისკენ თანაბრად გადანაწილება. აღნიშნულ საკითხთან დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მართებული იქნებოდა შენიშვნის ავტორის მიერ წარმოდგენილი ყოფილიყო შესაბამისი დასკვნები/დასაბუთებები.</p> |
| N90 | <p>გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება წარმოდგენილია ცალკე თავის სახით. გთხოვთ იხილოთ მე-14 თავი.</p> |
| N91 | <p>დანაკარგისა და სარგებლის რაოდენობრივ მონეტარული ანალიზის გზშ-ის დოკუმენტში ასახვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.</p> |
| N92 | <p>კვლავინდებურად N92 შენიშვნაში ადგილი აქვს გზშ-ის დოკუმენტიდან უხეშად ამოღებული წინადადების არასწორ ინტერპრეტირებას.</p> <p>არასწორია: „ტერიტორია დაკარგავს არსებულ ვიზუალურ მხარეს დროებით აღარ იქნება მიმზიდველი ფაუნის წარმომადგენლებისათვის“.</p> <p>სწორია: „ლანდშაფტური ცვლილება შესაძლებელია უარყოფითად აისახოს ასევე რეგიონში გავრცელებულ და საკვლევ ზონაში შემთხვევითად მომხვედრ ფაუნის წარმომადგენლებზე. მიმდინარე სამუშაოების (ქვესადგური მოწყობა ეგზ-ის გაყვანა) ეტაპზე ფაუნის წარმომადგენლებს შეეზღუდებათ ტერიტორიაზე წვდომა, ამასთან ტერიტორია დაკარგავს არსებულ ვიზუალურ მხარეს დროებით აღარ იქნება მიმზიდველი ფაუნის წარმომადგენლებისათვის. აღნიშნული სახის ზემოქმედება დროებით ხასიათს ატარებს და საკვლევ ადგილების მოწესრიგების, მათ შორის ყველა სახის ტექნიკის გაყვანის შემდგომ, განსახილველი ტერიტორია ნელ-ნელა დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობამდე მიახლოებულ გარემო-პირობებს. სამოქმედო ზონაში გათვალისწინებული არ არის ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურული ერთეულების მოწყობა, რომელთა ექსპლუატაცია სამომავლოდ დაკავშირებული იქნება გარემოს ვიზუალურ ლანდშაფტურ მხარეზე გრძელვადიან მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის ლანდშაფტური ერთეულების ფრაგმენტაციასთან.“</p> |
| N93 | <p>გზშ-ის დოკუმენტში მითითებული შემარბილებელი ღონისძიებები სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის და როგორც ეს გზშ-ის ანგარიშის 185 გვერდზე არის განმარტებული, „ შპს „პარფუს ბასრა“ პასუხისმგებლობას იღებს პირნათლად შეასრულოს განსაზღვრული გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინოს სააგენტოს სათანადო რეკომენდაციები, მათ შორის განაახლოს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მართვის/შერბილების ღონისძიებები“.</p> |
| N94 | <p>როგორც არაერთხელ განიმარტა: სიმძლავრეების გაზრდის პროექტის ფარგლებში, პროექტის ოპტიმიზაციის ეტაპზე, კომპანია მიიღო გადაწყვეტილება რომ გაეკეთებინა ერთიანი გზშ-ის ანგარიში, მათ შორის შეფასება განხორციელებულიყო ერთი ფანჯრის პრინციპით და ზემოქმედების აღქმა მომხდარიყო საერთო შეფასების ჭრილში. შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში აღწერილი გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ითვალისწინებს ბასრას</p> |

| | |
|------|---|
| | <p>ოთხივე ჰესის ოპერირებით მოსალოდნელი ჯამური/კუმულაციური ზემოქმედების ანალიზს. ხოლო 10.12 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია ითვალისწინებს სხვა ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტებთან მიმართებაში მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტის ანალიზს.</p> <p>სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ვინაიდან ჰესების დაგეგმვისა და მემორანდუმების გაფორმების ეტაპზე არ იყო ცნობილი მაღალი ძაბვის 110 კვ ორჯაჭვა ეგზ „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობის დასრულების და ჰესების ქსელზე მიერთების შესაძლებლობის საკითხები, საწყის ეტაპზე მიუხედავად მდინარე ბჟუჟას ხეობაში ჰიდროლოგიური პოტენციალისა, ვერ მოხდებოდა ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და მემორანდუმებიც აღნიშნულის შესაბამისად გაფორმდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ცნობილია ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების გენერირებული ელექტროენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ახალ ქსელთან მიერთების საკითხი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წერილი N2354/09 მოცემულია გზშ ანგარიშის დანართად), შესაბამისად დაიგეგმა ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და დოკუმენტაციის გარემოს ეროვნულ სააგენტოში კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენა.</p> |
| N95 | შენიშვნა არ ეხება დაგეგმილ საქმიანობას და შესაბამისად გზშ-ის დოკუმენტს. |
| N96 | შენიშვნა არ ეხება დაგეგმილ საქმიანობას და შესაბამისად გზშ-ის დოკუმენტს. |
| N97 | „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად 2 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა-ექსპლუატაცია არ საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების, მათ შორის გზშ-ის პროცედურის გავლას. როდესაც კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლის საჭიროება დადგა კომპანიას საკანონმდებლო მოთხოვნებისთვის თავი არ აურიდებია და უზრუნველყო გზშ-ის დოკუმენტაციის შემუშავება. |
| N98 | პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი სოციალური სარგებელი განმარტებულია გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა ქვეთავებში, მათ შორის ი.ხ ქვეთავი 10.9. კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილ სოციალურ პროექტებთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთდა ასევე პროექტის სკოპინგის და გზშ-ის ანგარიშების საჯარო განხილვებზე. |
| N99 | N43 და N44 ცხრილები წარმოადგენს შემარბილებელი ღონისძიებების „შემაჯამებელ“ ცხრილებს, შესაბამისად ლოგიკურია რომ მითითებული ინფორმაცია მეორდება გზშ-ის ანგარიშის სხვა ქვეთავებში მოცემულ ინფორმაციასთან მიმართებაში. |
| N100 | გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა შედგენილია ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ყველა კომპონენტებთან მიმართებაში. გეგმაში მონიტორინგს დაქვემდებარებული შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე შერჩეული მონიტორინგის კონკრეტული მეთოდები, რომელიც მოიცავს როგორც სამონიტორინგო კვლევების ჩატარებას, ისე ვიზუალურ და ინსტრუმენტალურ დაკვირვებების განხორციელებას. ამასთან აღსანიშნავია რომ გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი და შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მისი ოპტიმიზაცია. მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოში, რომლის გამოთხოვა დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია კანონმდებლობის დადგენილი წესით. |

| | |
|------|---|
| 101 | შენიშვნის ავტორის მიერ გზშ-ის დოკუმენტი არ არის სათანადო შესწავლილი, შესაბამისად ყველა წარმოდგენილი დასკვნა ეყრდნობა ზოგად მსჯელობას, ხშირ შემთხვევაში კი გზშ-დან უხეშად ამოღებული კონკრეტული სიტყვების ან/და წინადადებების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროცედურების, არასწორ ინტერპრეტირებას |
| N102 | <p>ტრადიციულად ადგილი აქვს გზშ-ის ანგარიშიდან ამოღებული წინადადებების არასწორ ინტერპრეტირებას შენიშვნის ავტორის მხრიდან.</p> <p>არასწორია: „საზოგადოების მხრიდან საკვლევი საქმიანობის მიმართ უარყოფითი პოზიციები არ დაფიქსირებულა“</p> <p>სწორია: „სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმიდან თვალსაჩინოა, რომ დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან საკვლევი საქმიანობის მიმართ უარყოფითი პოზიციები არ დაფიქსირებულა. პრეზენტაციის შემდგომ შედგა კითხვა-პასუხის კონსტრუქციული რეჟიმი, ხოლო დასმულ საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ამომწურავი პასუხები გაიცა საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლების მიერ.“</p> <p>„არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ ადმინისტრაციულ უწყებაში წერილობით წარდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები მოცემულია გზშ-ის დოკუმენტში.</p> |
| N103 | შენიშვნა არ ეხება დაგეგმილ საქმიანობას და შესაბამისად გზშ-ის დოკუმენტს. |
| N104 | <p>ხეობაში ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებობა ერთგვარ დადებით გარემოებას წარმოადგენს ღვარცოფული მოვლენების ქვედა ბიეფში (განსაკუთრებით დასახლებულ ტერიტორიაზე) გავრცელების პრევენციის თვალსაზრისით. კერძოდ, ლოგიკურია რომ „ბასრა ჰესების“ სათავე კვანძები ქმნის ბარიერს, რომლებიც გარკვეულწილად შეამცირებს ღვარცოფული მოვლენების ძალას და გავრცელებას.</p> <p>სათავე კვანძების სათანადო სტანდარტების დაცვით მოწყობის და ოპერირების პირობებში ავარიული რისკების თავიდან არიდება შეუძლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. სათავე კვანძების სტაბილურობის ანგარიშები წარმოდგენილია გზშ-ის ეტაპზე და შეგიძლიათ იხილოთ N6 დანართის სახით.</p> |
| 105 | შენიშვნების ავტორის მიერ გზშ-ის დოკუმენტი არ არის სათანადო შესწავლილი, შესაბამისად ყველა წარმოდგენილი დასკვნა ეყრდნობა ზოგად მსჯელობას, ხშირ შემთხვევაში კი გზშ-დან უხეშად ამოღებულ კონკრეტულ სიტყვებს ან/და წინადადებებს, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროცედურების არასწორ ინტერპრეტირებას. |